ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 12 ოქტომბერი, 2022 №201 (8979) ფასი: 80 თეთრი

გვ.5

26 წლის მარიამ გამტკიცულაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ თორნიკე გამხვეტელაშვილს პატიმრობა შეეფარდა

ნიკა ბასილაშვილის დედა: „ნიკას მხრიდან ნელი დოროყაშვილის მიმართ არანაირი ძალადობა არ ყოფილა“

გვ.5

„ოპოზიციამ კატასტროფული შეცდომები დაუშვა, რაც დაუსჯელი არ რჩება“

გვ.2

ნინო ბურჯანაძე: „მარტივი თამაშია, ივანიშვილს კიდევ ერთი პარტია სჭირდება. ასეთი სატელიტი „ხალხის ძალაა“. ივანიშვილისგან დაფინანსდებიან, ადმინისტრაციული რესურსი მათთვის იმუშავებს“



დავით ჭიჭინაძე: „თუ ასე გაგრძელდება, მალე სახელმწიფო აღარ გვექნება“

გვ.3

„ოპოზიციამ პარლამენტი სასწრაფოდ უნდა დატოვოს“

გვ.3

გია ხუხაშვილი: „ეკონომიკური საზღვარი მორღვეული გვაქვს“

გვ.3

მთავრობის მეთაური შვეიცარიის კონფედერაციის ეროვნული საბჭოს პრეზიდენტს შეხვდა

ზაზა ოქუაშვილი ბიძინა ივანიშვილს ლონდონის სასამართლოში უჩივის

გვ.4

„არა მგონია, ლარის გამყარება მხოლოდ მიგრანტების ბრალი იყოს“

გვ.2

1993230720223

4 როგორია საშუალო ხელფასი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში

4 „რუსეთის საზოგადოებაში დღლილი იწყება“

5 სოსო გოგაშვილს ბრალი დაუმძიმდა

6 უკრაინა ცეცხლშია გახვეული

„ოპოზიციამ კატასტროფული შეცდომები დაუშვა, რაც დაუსჯელი არ რჩება“

ნინო ბურჯანაძე: „მარტივი თამაშია, ივანიშვილს კიდევ ერთი პარტია სჭირდება. ასეთი სატელიტი „ხალხის ძალაა“. ივანიშვილისგან დაფინანსდებიან, ადმინისტრაციული რესურსი მათთვის იმუშავებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნინო ბურჯანაძე პასუხობს.

– ქალბატონო ნინო, პარლამენტი დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტს განიხილავს. ოპოზიცია კანონპროექტს იწუნებს. ხელისუფლებამ უკრაინული ვარიანტი შემოგვთავაზა. რამდენად იმუშავებს უკრაინული მოდელი ჩვენს ქვეყანაში?

– საერთოდ, მე ვარ ადამიანი, რომლის ხელმძღვანელობის დროსაც საქართველოს პარლამენტმა გააკეთა საქართველოს კანონმდებლობის პრაქტიკულად სრული ჰარმონიზაცია ევროპულ კანონმდებლობასთან. ძალიან ბევრს ვმუშაობდი, ცხადია, სხვებთან ერთად, იმაზე, რომ ევროპული სტანდარტები დაგვეწესებინა ამ თვალსაზრისით საქართველოში. მართლაც, კოლოსალური სამუშაო ჩატარდა და პრაქტიკულად ძალიან მოკლე დროში ძველი საბჭოთა კანონმდებლობა ჩანაცვლდა ევროპული კანონმდებლობით. მაშინ, როდესაც ევროპელ კოლეგებს ვესაუბრებოდი, სრულიად ერთმნიშვნელოვანი იყო პოზიცია და ეს ისედაც კარგად ვიცოდი, როგორც იურისტმა, რომ ნებისმიერი კანონის აბსოლუტური კოპირება სხვა ქვეყანაში არასოდეს არ იძლევა სწორ შედეგს. ერთია ის სტანდარტი და ჩარჩო, რომელიც უნდა მიიღო და მეორეა სრული კოპირება.

ჩვენი ევროპელი კოლეგები მაშინაც გვეუბნებოდნენ და ვთანხმდებოდით იმაზე, რომ პირდაპირი კოპირება არასოდეს არ მოიტანს იმ შედეგს, რაც გვინდა და არ იმუშავებს. კანონი იქნება მკვდრადშობილი, თუკი მის ასლს გააკეთებ. თავად ევროპაშიც არსებობს კანონმდებლობის საერთო სტანდარტები, მაგრამ ყველა ქვეყანას თავისი გარკვეული შესწორება შეაქვს ხოლმე კანონმდებლობაში. ასე რომ არ იყოს, ერთი კანონი იქნებოდა იმავე ევროპაში და ყველა ქვეყანას არ დასჭირდებოდა თავისი საკანონმდებლო ბაზის დამუშავება.

– ევროკავშირთან ვალის მოხდის მიზნით ხომ არ იღებენ ამ კანონს?

– დიახ, რა თქმა უნდა. ეს არის აბსოლუტურად ვალის მოხდის მიზნით მიღებული გადაწყვეტილება, იმიტომ, რომ უკრაინას სხვა სპეციფიკა აქვს, ბუნებრივია და საქართველოს აქვს სხვა სპეციფიკა. შესაბამისად, იმ კანონის პირდაპირ გადმოღება საქართველოში, ბუნებრივია, არ იმუშავებს, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების მიზანი არის ზუსტად ის, რომ ეს კანონი ქაღალდზე დარჩეს და არ იმუშაოს. ამიტომ, სულაც არ მიკვირს ის, რაც ხდება. მე ის მიკვირს, რომ რაღაცა სხვა მოლოდინები ჰქონდათ ოპოზიციონერ კოლეგებს, რომლებიც პარლამენტში არიან.

– ცრუ მოლოდინები ჰქონდა ოპოზიციას?

– თავისთავად, ის განცხადებები, რომლებიც კეთდებოდა პარლამენტში მთელი წინა პერიოდის განმავლობაში, ვიდრე კანონი მომზადდებოდა, რომ თურმე ბიძინა ივანიშვილი არ არის ოლიგარქი და ოპოზიციის წარმომადგენლები არიან ოლიგარქები, ერთმნიშვნელოვნად აჩვენებს იმ განწყობას, რომელიც აქვს ხელისუფლებას. ასე რომ, თავს ნუ მოვიტყუებთ. ჯერ ერთი, ეს კანონი ალბათ მიღებული არ იქნება და, კიდეც რომ იყოს მიღებული, დარჩება ქაღალდზე, არ იმუშავებს, ხოლო ის მთავარი პრობლემა, რომელიც არსებობს, რომ ქვეყანას 21-ე საუკუნეში მართავს ოლიგარქი, ამით არ მოიხსნება.

სიმართლე გითხრათ, არ მინდა ოპოზიციის კრიტიკა, მაგრამ, თუ ვინმეს ეგონა, რომ ეს კანონი მიღებული იქნებოდა და რამეს შეცვლიდა ქვეყანაში, მაშინ ილუზიებში ყოფილან. ასეთი ადამიანის პოლიტიკოსობასა და პოლიტიკურ გამოცდილებაზე შეიძლება დიდი კითხვის ნიშნები დასვა, ხოლო თუ ესმით ეს ყველაფერი, რასაც ვამბობ და მაინც მიმდინარეობს გამუდმებული დისკუსიები, ეს არის, უბრალოდ, ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა და მეტი არაფერი.

– ზოგადად, დღეს ოპოზიცია არ გამოიყურება კარგადო, ვისმენთ შეფასებებს. მთავარ ოპოზიციად წოდებულ ძალასაც სერიოზული პრობლემები აქვს. რა ხდება, საკაკაშვილის ფაქტორი მოიხსნა და ახლა ველარ რიგდებიან ერთმანეთში?

– სამწუხაროა, რაც ხდება. პრაქტიკულად, ხელიდან გავუშვით არაერთი შანსი, რომ ვადამდელი არჩევნები მოგვეპოვებინა. კატასტროფული შეცდომა იყო მიშელის დოკუმენტის გაფეტიშება, რომელიც თავზე გადაგვახიეს. გასაგები იყო, რომ ასე მოხდებოდა. არ ვიცი, ოპოზიციას არ ესმოდა, რომ ასე მოხდებოდა თუ იმდენად მნიშვნელოვანი იყო ჩემი კოლეგებისთვის, პარლამენტში შესასვლელად რაღაცა გამართლება ეპოვათ, ფაქტია, რომ მიშელის დოკუმენტის ფორმატის შექმნა თავისთავად ძალიან უსამართლო იყო.

– რატომ იყო უსამართლო?

– ამ ფორმატის შექმნითა და მასში მონაწილეობით ოპოზიციამ აღიარა არჩევნები, თანაც, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ფორმატში მონაწილე პარტიების უმრავლესობამ 2-3% აიღო. რაც არ უნდა ილაპარაკონ ახლა, არჩევნები გაყალბდა და არ ვაღიარებთ შედეგებსო, ფაქტია, როდესაც შედიხარ პარლამენტში და შედიხარ იმ რაოდენობით, რაც შეესაბამება 2 და 3%-ს და დანარჩენი ადამიანები, რომლებიც მიგაჩნია, რომ, წესით, უნდა იყვნენ პარლამენტში, რომლებმაც მიიღეს მანდატი და 2-3% კი არა, 7 და 10% მიიღეს არჩევნებზე, გარეთ არიან და შენ მაინც შედიხარ, ეს იმ უსამართლო არჩევნების აღიარებაა. როგორც კი ვაღიარეთ ბარიერგადალახული და ვითომდა ბარიერგადაულახავი პარტიები. იმ ოპოზიციამ, რომელიც ამ ფორმატებზე წავიდა, არჩევნების შედეგებიც აღიარა.

– და არჩევნები გაყალბდა, ამან აღარ იმუშავა?

– დიახ, ასეა. უკაცრავად ამ გამოთქმისთვის და გაუპრავეს „ქართულ ოცნებას“ 2020 წლის არჩევნები. ამიტომ, ამის შემდეგ რაც არ უნდა გველაპარაკა, რომ არჩევნები გაყალბდა, ეს იყო უკვე რიტორიკა და მეტი არაფერი. ის კატასტროფული შეცდომები, რომლებიც ოპოზიციამ დაუშვა, არც ცხოვრებაში და არც პოლიტიკაში დაუსჯელი არ რჩება. შესაბამისად, დავისაჯეთ ყველანი, ოპოზიციონერები დავისაჯეთ იმით, რომ ოპოზიცია დასუსტდა, დავისაჯეთ იმით, რომ ვადამდელი არჩევნების შანსი დავკარგეთ, დავისაჯეთ იმით, რომ მოსახლეობას ძალიან გაუცრუვდა იმედი ჩვენთან დაკავშირებით.

– ვადამდელი არჩევნების შანსი დავკარგეთო. დღესაც საუბრობს ოპოზიციის ნაწილი ვადამდელ არჩევნებზე და არის ამისთვის მზად ოპოზიცია, თუნდაც რომ დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები, მოუგებს „ქართულ ოცნებას“?

– თუ არ გაინძერი და არ იბრძოლე, ასე მზად ვერასოდეს ვერ იქნები. ასე თუ გააგრძელა ოპოზიციამ, 2024-ისთვის არა, ვადამდელი არჩევნებისთვის მზად იქნება?! დღეს რა მდგომარეობაშიც არის ოპოზიცია, ამ მდგომარეობით თუ მივიდა 2024 წლამდე, მოუგებს „ქართულ ოცნებას“?! ასე რომ, მზაობა დამოკიდებულია იმაზე, რას აკეთებ იმისათვის, რომ მზად იყო. როცა ოპოზიცია დაკავებულია იმით, რომ დეოლიგარქიზაციის შესახებ მსგავსი კანონის მიღება-არმიღებაზეა მსჯელობა, როცა ოპოზიცია დაკავებულია იმით, რომ კვირების განმავლობაში ლაპარაკობს საგამოძიებო კომისიის შექმნაზე, რომელიც, ყველამ ვიცით, რომ არ შეიქმნება, ასეთ შემთხვევაში მზაობაზე ლაპარაკი ზედმეტია. თუ ასე გაგრძელდა, 2024 წელს პარლამენტი დალაგდება იმ სქემით, რომელიც დღეს ჩაფიქრებული აქვს ბიძინა ივანიშვილს.

– და როგორია ეს სქემა?

– „ქართული ოცნება“ – უმრავლესობით, ნაციონალური მოძრაობა – იმაზე ნაკლები წარმომადგენლობით, ვიდრე დღეს არის და ალბათ ე.წ. განდგომილების პარტია, რომელსაც ამზადებენ 2024 წლისთვის.

– ქალბატონო ნინო, თავად ახსენეთ განდგომილები და „ხალხის ძალად“ წოდებულ ამ მოძრაობას აფართოებენ და აძლიერებენ. რა თამაშია ეს? ექსპერტთა ნაწილის აზრით, ძალათა ბალანსისთვის უნდა „ოცნებას“ ამ ძალის გაძლიერება. თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?

– აძლიერებს, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ეს შეფასება სასაცილოა ამ ძალისთვის. ვერანაირად ვერ გაძლიერდებიან. ამ პარტიის ძალა არის მხოლოდ იმაში, რომ ისინი არიან ბიძინა ივანიშვილის სატელიტები და თამაშობენ ივანიშვილის თამაშს. დაფინანსდებიან ივანიშვილისგან, ადმინისტრაციული რესურსი იმუშავებს მათგან. აი, ამაში იქნება მათი ძალა. მარტივი თამაშია, ივანიშვილს სჭირდება კიდევ ერთი პარტია, „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის გარდა, პარლამენტში. ამიტომ ის ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს პარტია იყოს სწორედ „ხალხის ძალა“. დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებს, პრაქტიკულად, შანსი არა აქვთ 5%-იანი ბარიერის გადალახვის და ბიძინა ივანიშვილი გააგრძელებს ისე მართვას, როგორც აქამდე მართავდა. ეს არის ის სცენარი, რომელიც აუცილებლად დადგება 2024 წელს, თუ ოპოზიცია გონს არ მოეგო, არ გაერთიანდა და სწორი სტრატეგია და ტაქტიკა არ აირჩია.

„არა მგონია, ლარის გამყარება მხოლოდ მიგრანტების ბრალი იყოს“

– რატომ მყარდება დღეს ლარი? არა მგონია, რომ ეს მარტო მიგრანტების ბრალი იყოს, – ამის შესახებ „თიბისის“ მთავარმა ეკონომისტმა ოთარ ნადარაიამ რადიოგადაცემა „საქმეში“ განაცხადა.

მისი თქმით, აქ მნიშვნელოვანი იყო მოლოდინები. კერძოდ, ზამთრის „აუცილებლად“ გაუფასურების მოლოდინების გამო, დეპოზიტების სახით, საბანკო სექტორში ჭარბი დოლარი დაგროვდა, რამაც ლარის გამყარება გამოიწვია.

თუმცა, სამომავლოდ გაგრძელდება თუ არა ეს ტენდენცია, ოთარ ნადარაიამ განაცხადა, რომ, სავარაუდოდ, ლარი მეტად აღარ გამყარდება, რადგან ეს უკვე საერთაშორისო კონიუნქტურასა (დოლარის სიმყარეზე) და ინფლაციის მაჩვენებელზეა დამოკიდებული.

– რა თქმა უნდა, დამატებითი შემოდინება არის, მიგრაციის დამატებითი ტალღიდან, მაგრამ ჩემი აზრით, ეს არ არის მთავარი ლართან მიმართებით. იმიტომ, რომ პირველი, შემოდინებები ისედაც ძლიერი იყო, და მეორე, უფრო მნიშვნელოვანი, წელს ძალიან გამოკვეთილი იყო მოლოდინები ლარის სეზონურად „აუცილებლად“ გაუფასურებასთან დაკავშირებით. როდესაც ასე ხდება, ინტუიციურად რომ შევხედოთ, აქ საერთოდ არ არის საჭირო ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა, თუ თითქმის ყველა ელოდება, რომ ზამთრის გამო, წლის ბოლოს ლარი გაუფასურდება, ლარი აღარ გაუფასურდება იმიტომ, რომ ყველა ახურდავებს. ანუ ლარიდან გადადის დოლარში დეპოზიტებზე და, სხვათა შორის, დეპოზიტები არ არის მხოლოდ მიგრანტების გამო, ადგილობრივი დეპოზიტებიც ძალიან იზრდება, რადგან, ვისაც აქვს დაზოგვის საშუალება, უფრო ვალუტაზე გადავიდა, სესხებს ვინც იღებს, უფრო ლარში. ამით რა მოხდა, ის სავალუტო შემოდინებები, რომლებიც საქართველოშია, დიდი ნაწილი (მიგრანტების გარეშე), დაახლოებით 800 მლნ დოლარი ან მეტი, საბანკო სექტორში დაგროვდა, ანუ ზამთრის გაუფასურების მოლოდინების გამო, ეს ჭარბი დოლარი დაგროვდა, რაც სავალუტო ბაზრიდან ამოვიდა.

ახლა რა მოხდება შემდეგ თვეებში და რატომ მყარდება დღეს ლარი, არა მგონია, რომ ეს მარტო მიგრანტების ბრალი იყოს, იმიტომ, რომ ეს ხალხი, ვინც დააგროვა ვალუტა, ვინც იფიქრა, რომ რადგან ახლა ზამთარში გაუფასურდება, მოდი ივლისში, სექტემბერში და ზოგმა აგვისტოში, მოვასწრებ გადახურდავებას. ისინი ხედავენ, რომ ტენდენცია შეიცვალა და ლარი სინამდვილეში არ უფასურდება. ამიტომ, როგორც სესხების (იმიტომ, რომ უკვე მეტი სესხი გააქტიურდა ვალუტაში), ასევე დეპოზიტების კუთხით უკვე იგრძნობა ეს ცვლილება, ანუ უხეშად რომ ვთქვათ, ეს დაგროვილი 800 მლნ ნელ-ნელა უკვე უბრუნდება სავალუტო ბაზარს. ამიტომ, ჩემი აზრით, მომდევნო თვეებში ვიხილავთ კიდევ უფრო მეტ მიწოდებას სავალუტო ბაზარზე ვალუტის, ვიდრე ეს ექსპორტიდან, გზავნილებიდან, ან თუნდაც, მიგრანტებიდან და ტურიზმიდან გამომდინარეობს.

შეჯამების სახით, წინააღმდეგობრივი რამ უნდა ვთქვა, გამოიწვევს თუ არა ეს ლარის გამყარებას, ვფიქრობთ, რომ – არა, იმიტომ, რომ აქ ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო კონიუნქტურა და ინფლაციის პროგნოზი. საერთაშორისო კონიუნქტურაში ვგულისხმობთ იმას, რომ დოლარი არის რეკორდულად მყარი მსოფლიოში, ამიტომ, სანამ დოლარი არ დასუსტდება საერთაშორისო ბაზრებზე, რაც ძალიან რთული დასაჯერებელია წელს, ლარის გამყარება დოლართან რთული წარმოსადგენია, – განაცხადა ოთარ ნადარაიამ.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ფინანსთა სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – წურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოპოზიციამ პარლამენტი სასწრაფოდ უნდა დატოვოს“

დავით ჭიჭინაძე: „თუ ასე გაგრძელდება, მალე სახელმწიფო აღარ გვექნება“

ნათია ხურცილავა

„ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, პარლამენტი „საარჩევნო კოდექსში“ შესატან ცვლილებებზე მსჯელობს, რომელიც 12-პუნქტიანი გეგმიდან ერთ-ერთი მოთხოვნაა. როგორ ფიქრობთ, „ქართული ოცნება“ არის მზად ამ ცვლილებებისთვის?

– მე არანაირ ცვლილებას არ ველოდები. „ქართული ოცნება“, რომლის ხელშიც არის არჩევნების გაყალბების სრული მექანიზმი, არანაირი ცვლილებისთვის, არანაირი დათმობისთვის მზად არ არის.

თუ ოპოზიციამ არ გააფუჭა უკვე მიღწეული შეთანხმება, რომელიც კონსტიტუციით არის გარანტირებული, სრული პროპორციული საარჩევნო სისტემა ისედაც ამოქმედდება. ეს უკვე კონსტიტუციაშია ჩაწერილი, რომელიც 2024 წლის არჩევნებისთვის ამოქმედდება.

– „გაფუჭებაში“ რას გულისხმობთ?

– დაბალი საარჩევნო ბარიერის სანაცვლოდ თუ არ ივაჭრა. 5%-იანი ბარიერი რომც იყოს, მერწმუნეთ, პროპორციული საარჩევნო სისტემა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებზე დამარცხდეს, მაგრამ ემიგრაციას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა ყოველგვარი შუამავლების გარეშე.

ხალხს, რომელიც ამ ქვეყნიდან გარბის არა კარგი ცხოვრების საძიებლად, არამედ თავის გადარჩენისთვის, უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ელექტრონული სისტემით არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. ეს არ უნდა იყოს ცესკოს ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული არჩევნები თავისი გაყალბების მექანიზმით, არამედ ეს უნდა იყოს ამ ხალხის თავისუფალი არჩევანი.

„ქართულმა ოცნებამ“ იცის, თუ არჩევნებში სრულად მიიღებს ემიგრაცია მონაწილეობას, ისინი დამარცხდებიან. ამიტომ ცდილობენ, ამ პროცესში არ ჩართონ ეს ხალხი და როგორმე შეინარჩუნონ გაყალბების მექანიზმი. თუ ოპოზიცია მუდმივად ივაჭრებს და იქნება ასეთი სუსტის პოზიციიდან, როგორადაც დღეს პარლამენტში არიან წარმოდგენილი, მაშინ, კობახიძის მეთაურობით, „ქართული ოცნება“ მოქმედ მანკიერ საარჩევნო სისტემას კვლავ შეინარჩუნებს და კვლავ გაიფორმებს გამარჯვებას.

– რა უნდა ქნას საპარლამენტო ოპოზიციამ, რომ უფრო ძლიერი იყოს?

– სასწრაფოდ უნდა დატოვოს პარლამენტი. არა მხოლოდ პარლამენტი, საკრებულოებიც. ოპოზიცია, რომელიც მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, ვერავითარ დადებით შედეგს ვერ მოუტანს ხალხს. ხალხის ინტერესებით უნდა იმოქმედო, რომ ქვეყანამ შედეგი მიიღოს. დღეს ვხედავთ ოპოზიციას, რომელიც უსუსური განცხადებებით შემოიფარგლება. არავითარი ბერკეტი მას არ გააჩნია, რომ პოლიტიკური ზემოქმედება მოახდინოს ხელისუფლებაზე. ამიტომ გვაქვს ეს ვითარება.

დღეს პოლიტიკურ არენას „ქართული ოცნება“ და საპარლამენტო ოპოზიცია აკონტროლებენ. ისინი ერთად ცდილობენ, ახალი პოლიტიკური ძალა არ გამოჩნდეს, რადგან ეს ორივეს ინტერესშია. ამ პროცესს ორივე უშლის ხელს. თუ ახალი ძალა გამოჩნდება, მაშინ არცერთის ადგილი არ იქნება პოლიტიკაში. ეს კარგად იცის ორივემ.

– მესამე ძალაზე საუბრობთ?

– არავითარი მესამე ძალა. მე ხალხის ძალაზე, ხალხისგან დაკომპლექტებულ ძალაზე ვსაუბრობ, რომლის ინტერესი არის ამ ქვეყნის წინ წასვლა, ამ ქვეყნის მომავალი და არა საკუთარ ინტერესებსა და მომავალზე ზრუნვა. არსებული პოლიტიკური რეალობა, რომელიც პარლამენტშია, მხოლოდ ამ ორ ფლანგს აწყობს, რადგან ორივეს ასაზრდოებს.

უნდა ვაღიაროთ, რომ პოლიტიკა დიდი ხანია ქუჩაში გამოვიდა. დღეს აღარ არის აკადემიური პოლიტიკური დისკურსის ადგილი პარლამენტის კედლებში. პლენარულ სხდომათა დარბაზში, სადაც მშვიდად განიხილავ ამა თუ იმ კანონპროექტს, იმ ფონზე, როდესაც უცხო ტომის შემოდინება და ქართველების გადინება ხდება, როდესაც ამას უყურებ, ადამიანს სრული უპერსპექტივობის განცდა გეუფლება. თუ ასე გაგრძელდება, ღმერთმა ნუ ქნას, მალე სახელმწიფო აღარ გვექნება. მერე, რამდენიც უნდა, იმდენი კანონპროექტი მოამზადოს ოპოზიციამ და დაუბლოკოს „ქართულმა ოცნებამ“. მერე უკვე აღარაფერს აზრი აღარ ექნება. სამწუხაროდ, ამას ვერ აცნობიერებს ის ოპოზიცია, რომელიც პარლამენტშია შემძვრალი.

„უკეთესის იმედი უნდა გვქონდეს და უარესისთვის ვემზადოთ“

რუსეთი მარცვლეულის ექსპორტზე დაწესებული კვოტის მოსახსნელად მზადაა. კვოტის მოხსნა კი ქვეყანაში ჭარბი მოსავლითაა განპირობებული.

ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი, ლევან სილაგავა „ბიზნესპრესნიუსთან“ აცხადებს, რომ მსოფლიო ბაზრებზე დიდად სიტუაციას ვერ შეცვლის. მისივე თქმით, ფასები ახლა პოლიტიკურ სიტუაციასა და იმაზეა დამოკიდებული, როგორი იქნება ომის სიმძაფრე უკრაინაში.

– კვოტირება აღარ სურს რუსეთს, რადგან ჭარბი მოსავალი აქვთ, თუმცა კვლავ ძალაში რჩება მცურავი ბაჟი. ანუ, ჩვენთვის მოცემულობა დიდად არ იცვლება.

დღეს სიტუაცია ისეთია, რომ პოლიტიკური მდგენელი ძალიან მაღალია. ბირჟებზე ფასებმა მოიმატა. როგორც კი უკრაინის დაბომბვა დაიწყო, ბირჟებზე ხორბლის ფასი 5%-ით გაიზარდა. ამას წინ უძღოდა ქერჩის ხიდზე მომხდარი აფეთქება და ამ ყველაფერმა პოზიტიურ ტრენდს დაღი დაასვა. რუსეთში, დღეს სიტუაცია ასეთია, დიდია მოსავალი, მაგრამ ფერმერებისთვის თვითღირებულებაც მაღალია, რადგან ომმა გაზარდა ფასები საწვავსა და სხვა მდგენელებზე.

ის რომ, დღემდე სიტუაცია უკეთესი იყო რუსეთის ჭარბი მოსავლის, მსოფლიო ბაზრებზე სტაბილური საფასო პოლიტიკის და მცურავი ბაჟის შემცირების გამო, ეჭვქვეშ დგება. ახლა არსებობს ხორბლის მარაგები, რომლითაც მომდევნო ორ თვეს გადავივლით, შემდეგ კი პროგნოზები გვიჭირს. იმიტომ, რომ უკრაინის დერეფანსაც გასდის 6-თვიანი ვადა, რომელიც რუსეთ-უკრაინა-გაერო და თურქეთს შორის დაიდო. ახლა ამ მხრივ დიდი გაურკვევლობაა, დაბლოკავს თუ არა რუსეთი ამ დერეფანს.

გამოქვეყნდება აშშ-ის ბალანსის სტატისტიკა ხორბლისა და მარცვლეულის ნაწილში და იმის მიხედვით განისაზღვრება ბევრი პარამეტრი, მაგრამ ნებისმიერ წამს შეიძლება სიტუაცია გართულდეს პოლიტიკური ვითარების კვალდაკვალ. ყველა შემთხვევაში, უკეთესის იმედი უნდა გვქონდეს და უარესისთვის ვემზადოთ, – განაცხადა სილაგავამ „ბიზნესპრესნიუსთან“.

ინფორმაციისთვის, საექსპორტო კვოტა გამოითვლება მარცვლეულის ბალანსზე და ნაწილდება ისტორიული პრინციპით. საექსპორტო კვოტის შესახებ მონაცემები ყოველწლიურად 15 თებერვლიდან 30 ივნისამდე ქვეყნდება. გასულ სასოფლო-სამეურნეო წელს (რომელიც 2022 წლის 30 ივნისს დასრულდა) კვოტამ 11 მილიონი ტონა შეადგინა, მათ შორის იყო 8 მილიონი ტონა ხორბალი, რომელიც 206 კომპანიას შორის განაწილდა.

გია ხუხაშვილი: „ეკონომიკური საზღვარი მორღვეული გვაქვს“



რუსეთი ტვირთის საერთაშორისო საგზაო სატრანსპორტო გადაზიდვებზე კონტრსანქციებს აწესებს. სანქცირებულთა სიაში არ არის საქართველო.

„ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას გადაწყვეტილების ეკონომიკური ეფექტი ანალიტიკოსმა გია ხუხაშვილმა შეაფასა.

– როგორც პოლიტიკაში, ასევე ეკონომიკაში საქართველოს მთავრობა ამ ეტაპზე კოლაბორაციონისტულ პოლიტიკას ატარებს. აბსოლუტურად აცდენილი ვართ სტრატეგიას, რომელიც დასავლეთმა აირჩია რუსეთთან მიმართებით. ფაქტობრივად, მორღვეული გვაქვს ეკონომიკური საზღვარი. მეტსაც გეტყვით, ჩვენი ხელისუფლება ამაყობს, რომ მაღალი ეკონომიკური ზრდა გვაქვს რუსეთთან ინტეგრაციის ხარჯზე. ეს რაც რუსეთმა გუშინ გააკეთა, ჩვენ არ შეგვეხება. ისინი, ძალიან კმაყოფილი არიან საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებით. შესაბამისად, ყველაფერი დარჩება ისე, როგორც არის, – განაცხადა ხუხაშვილმა.

პარალელურად, ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მე-8 პაკეტი დაამტკიცა. ახალ ევროპულ სანქციებში მესამე ქვეყნებიც შევლენ. როგორც ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა, ყველა მოქალაქე თუ ორგანიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობს სანქცირებული საქონლის რუსეთში მიწოდებას, შევა ამ სიაში და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი შემაკავებელი ფაქტორი, „ჩვენ არ გვინდა, რომ მესამე სახელმწიფოები გამოიყენონ, როგორც ხვრელი ??ჩვენი სანქციების წინააღმდეგ“.

ხუხაშვილის თქმით, ეს ადრე თუ გვიან აუცილებლად აისახება საქართველოზეც.

– ჩვენი ქვეყანა დგას რისკის წინაშე, რომ ადრე თუ გვიან აღმოვჩნდეთ დასავლეთის მხრიდან სასანქციო სიაში. მიზეზი მარტივია, რუსეთში გამავალ ტვირთებზე არავითარი კონტროლი არ ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ამბობს, თითქოს ეს ასე არ არის, რეალური პოლიტიკა და სტატისტიკა აჩვენებს, რომ საქართველო გამოყენებულია პლაცდარმად სანქციების გვერდის ავლისთვის. ცივილიზებულმა სამყარომ აირჩია ეკონომიკური ომი რუსეთთან და საქართველო ამ ომში, სამწუხაროდ, სხვა მხარესაა, – განაცხადა „ბიზნესპრესნიუსთან“ ხუხაშვილმა.

შეგახსენებთ, 10 ოქტომბერს რუსეთში ძალაში შევიდა დადგენილება ევროკავშირის, უკრაინის, დიდი ბრიტანეთის, ჩრდილოეთ ირლანდიისა და ნორვეგიის სატრანსპორტო კომპანიებისთვის ტვირთის საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტის აკრძალვის შესახებ. ნორმა 31 დეკემბრამდე იქნება ძალაში.

რუსეთი, შესაძლოა, ტერორიზმის სპონსორ ქვეყნად გამოაცხადონ

აშშ-ის კონგრესის უფროსმა მრჩეველმა ჰელსინკის კომისიის საკითხებში პოლ მასარომ განაცხადა, რომ რუსეთის უკანასკნელ ქმედებას უკრაინაში გამართლება არა აქვს, ხოლო ის, რაც პუტინმა ჩაიდინა, ნამდვილი ნაციზმია.

– წინადადება შემომაქვს, რომ კონგრესმა დაუყოვნებლივ განიხილოს კანონპროექტი რუსეთის ტერორიზმის სპონსორ ქვეყნად გამოცხადების თაობაზე, – თქვა მასარომ.

მთავრობის მეთაური შვეიცარიის კონფედერაციის ეროვნული საბჭოს პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შვეიცარიის კონფედერაციის ეროვნული საბჭოს პრეზიდენტ ირენ ქელინს შეხვდა.

მხარეებმა ისაუბრეს საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის მჭიდრო და მეგობრულ ურთიერთობებზე როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში. აღინიშნა ორი ქვეყნის პარტნიორობა არაერთი მიმართულებით, მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, პარლამენტთა და ხალხთა შორის მჭიდრო კავშირები.

მთავრობის მეთაურმა შვეიცარიის მხარეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. პრემიერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა მთავრობის ერთგულება კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ყოვლისმომცველი პოლიტიკის მიმართ.

საუბარი შეეხო სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებსა და მაღალი დონის შეხვედრების მნიშვნელობას. ამ კონტექსტში აღინიშნა მთავრობის მეთაურის შეხვედრა შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტ იგნასიო კასისთან, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის ფარგლებში ნიუ იორკში მიმდინარე წლის სექტემბერში გაიმართა.

ყურადღება გამახვილდა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) პროგრამების მნიშვნელობაზე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციური ტრანსფორმაციის მიმართულებით.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას საქართველოს მხრიდან: საგარეო საქმეთა მინისტრი ილია დარჩიაშვილი და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიის კონფედერაციაში რევაზ ლომინაძე, ხოლო სტუმართა მხრიდან: შვეიცარიის კონფედერაციის ეროვნული საბჭოს პრეზიდენტის პირველი მოადგილე მარტინ კანდინასი, მეორე მოადგილე ერიკ ნუსბაუმერი, ელჩი, საგარეო საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი კლაუდიო ფიშერი, პოლიტიკური მრჩეველი სოფი ლაშა რორერი და შვეიცარიის კონფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჰეიდი გრაუ ესწრებოდნენ.

„რუსეთის საზოგადოებაში დუღილი იწყება“

სოციოლოგი ეიდმანი: „დარტყმები რუსეთის მხრიდან ომში გარდატეხას ვერ შეიტანს“

მარიამ მჭედლიშვილი

მას შემდეგ, რაც უკრაინელებმა ჩამოანგრიეს რუსეთისთვის სტრატეგიული და სიმბოლური მნიშვნელობის ყირიმის ხიდის მნიშვნელოვანი ნაწილი (დანგრეულია საავტომობილო ხიდის ორი მონაკვეთი, დაზიანებულია სარკინიგზო ხიდი), აგრესორი სარაკეტო შეტევებს ახორციელებს უკრაინის დიდ ქალაქებზე, მათ შორის, კიევზე.

სოციოლოგი იგორ ეიდმანი უკრაინულ მედიასთან ინტერვიუში აცხადებს, რომ ომის ბედი გადაწყვეტილია, რუსეთი მარცხდება და, რა დარტყმებიც არ უნდა მოახდინოს კრემლის არმიამ, ომში გარდატეხა ვეღარ მოხდება.

– რითია მნიშვნელოვანი ის ფაქტი, რომ ხელშეუხებელი და ყველა მხრიდან დაცული ყირიმის ხიდი გახდა თავდასხმის ობიექტი?

– ყირიმის ხიდის დანგრევას აქვს დიდი სიმბოლური და აზრობრივი მნიშვნელობა. ეს პოზიტიურად აისახება ომის მიმდინარეობაზე. საყურადღებოა ერთი მომენტი – უკვე ერთი თვეა, რუსეთის „ომის პარტია“ ისტერიკებს აწყობს ინტერნეტში. ის გაძლიერდა ყირიმის ხიდის დანგრევის შემდეგ. ეს ხალხი გაჰკივის, რომ ეს ყველაფერი ზღვარს გადავიდა, რომ გადალახულია „წითელი ხაზები“, რომ დროა, რუსეთმა დაიწყოს „შეტევითი ომი“. ამას მოჰყვება ხოლმე ლანძღვა-გინება და მუქარა.

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთს არანაირი დამატებითი რესურსი არ გააჩნია, გარდა იმისა, რაც ომში ჩართული აქვს. ყველანაირი საუბარი იმაზე, თითქოს რუსეთს ამოქმედებული არა აქვს ყველა შესაძლებლობა, სისულელეა. ხიდზე დარტყმამ ეს დაადასტურა.

ბევრი რუსი პოლიტიკოსი, მათ შორის მედვედევი, ამბობდა, რომ ყირიმი „წითელი ხაზია“ და, თუ უკრაინა მას შეეხება, რუსეთი უმკაცრესად უპასუხებს. ვხედავთ, რომ რუსეთის ზედა რგოლს არაფერი შეუძლია.

სიტუაცია პოზიტიურია იმითაც, რომ ადრე ამას მარტო უკრაინელები ხვდებოდნენ. ახლა დასავლეთიც ამჩნევს, რომ პუტინი ფოკუსნიკია, რომელიც სცენაზე ცილინდრით გამოვიდა. მან ცილინდრიდან უნდა ამოიყვანოს კურდღელი, რომელიც დიდი ხნის წინ შეიჭამა. ასე რომ, სიახლის დემონსტრირების უნარი პუტინს არ გააჩნია. მას მხოლოდ ისღა დარჩენია, ჩაიდინოს ისეთი ბოდვითი ქმედებები, როგორებიცაა გაყალბებული რეფერენდუმები და იმ ტერიტორიების შეშლილი ანექსია, რომლებიც არც კანონით ეკუთვნის და რომლებიც მის კონტროლს არ ექვემდებარება.

– რუსეთს რაკეტები აქვს. იქნება დარტყმები ქალაქებზე?

– მათ შეუძლიათ, დაარტყან კიევს, დნეპრის ხიდებს და ა.შ. სამხედრო თვალსაზრისით ეს მათ ვერ უშველის. ეს ომის მიმდინარეობას ვერ გარდატეხს. რუსეთს შეუძლია, დახოცოს უფრო მეტი მშვიდობიანი მცხოვრები, ჩაიდინოს მეტი სამხედრო დანაშაული, უფრო გაართულოს მშვიდობიანი უკრაინელების ცხოვრება, მაგრამ ის ვერ შეცვლის სიტუაციას თავის სასარგებლოდ. ეს რუსეთს სარგებელს არ მოუტანს. ნეგატიური შედეგი ბევრად დიდი იქნება, ვიდრე პრეფერენციები. რუსეთის ამგვარი ქმედებები არა მარტო უფრო მეტად შეაკავშირებს უკრაინელებს მტრის წინააღმდეგ, არამედ, გამოიწვევს მეტ საერთაშორისო დახმარებასა და ახალ სანქციებს რუსეთის რეჟიმის წინააღმდეგ. ახალ სანქციებს შეუერთდებიან ისეთი ტიპის ნეიტრალური ქვეყნები, როგორებიცაა ინდოეთი და თურქეთი.

– ხსენებული მედვედევი უკრაინას „განკითხვის დღით“ ემუქრებოდა. როგორ აფასებთ რუსეთის მხრიდან ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობას?

– მიმაჩნია, რომ რუსეთი ბირთვულ იარაღს არ გამოიყენებს, მუქარები კი იქნება. ბირთვული იარაღიც რომ აამოქმედოს, ვერ შეიტანს ომში გარდატეხას. პირიქით, ეს მოახლოებს პუტინის რეჟიმის კრახს. ბირთვული იარაღის გამოყენება არ დარჩება უპასუხოდ ნატოსა და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. ამის შემდეგ რუსეთს ზურგს შეაქცევენ მის მიმართ ლმობიერი და ნეიტრალური სახელმწიფოები, მაგალითად, ჩინეთი, ინდოეთი, თურქეთი.

„რუსეთის „ომის პარტიაში“ განხეთქილება ყირიმის ხიდზე აფეთქებამდე დაიწყო“

ფრონტი გაჭიმულია. ბირთვული იარაღის გამოყენება ფრონტზე იგივეა, რომ ქვემეხიდან ბეღურებს ესროლო. ფრონტის რაღაც მონაკვეთზე რუსეთს შეუძლია ბირთვული იარაღის გამოყენება. ამას მეტი მსხვერპლი მოჰყვება, მაგრამ ომის მსვლელობას ეს ვერ გარდატეხს. დიდ ქალაქებზე, გადაწყვეტილების მიღების ცენტრებზე ბირთვული დარტყმები განსაკუთრებულ შედეგს არ მოიტანს. ისინი დაცულია ბუნკერებითა და ა.შ. ისევ დაიღუპება ბევრი ხალხი, რუსეთი კი უპრეცედენტოდ იზოლირებული გახდება, სავარაუდოდ, მიიღებს პასუხს ნატოსგან. უფრო მეტიც, რუსეთის ასეთი ნაბიჯი ნატოს უბიძგებს ომში ჩართვისკენ. სრულიად აშკარაა, რომ რუსეთი დამარცხდება. თუ რუსეთის არმია ვერ ამარცხებს უკრაინულს, რომელსაც თანამედროვე იარაღი არ გააჩნია (უკრაინას არა ჰყავს ფლოტი, არა აქვს თანამედროვე ავიაცია, თანამედროვე დიდი სიშორის რაკეტები, დასავლური ტანკები), მაშინ რა უნდა ვთქვათ მისი ნატოსთან შეჯახების პერსპექტივებზე? ნატოს ზემოთხსენებული შეიარაღებიდან ყველაფერი უამრავი აქვს. თუ ამერიკელები ჩაერთვებიან ომში, რუსეთის არმიისგან აღარაფერი დარჩება.

– პუტინის რეჟიმისთვის რა შედეგები შეიძლება დადგეს?

– ჯერ კიდევ ყირიმის ხიდზე დარტყმამდე დაიწყო განხეთქილება რუსეთის „ომის პარტიაში“. „ომის პარტია“ გაიყო რადიკალებად, რომლებიც გაჰკივიან, რომ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო და უმაღლესი მთავარსარდალი არასაკმარისად ინტენსიურად და ეფექტიანად წარმართავენ ომს და ზომიერებად, რომლებიც გამოჩენას ერიდებიან. მათ არ უნდათ ომთან ასოცირება. ეს განხეთქილება გაღრმავდება. ამას ხელს შეუწყობს აფეთქება ყირიმის ხიდზე.

რუსეთის საზოგადოებაშიც დაწყებულია დუღილი. მოსახლეობა გამარჯვების ნარკოტიკზე შესვეს. ყველა ელოდა რუსეთის გამარჯვებას, მაგრამ არანაირ გამარჯვებას პირი არ უჩანს. მხოლოდ მარცხია. ყირიმის ხიდიც დააზიანებს პუტინის რეიტინგს და შეამცირებს პუტინის რეჟიმის მხარდაჭერას.

სექტემბერში ავტობუსის ზოლში ავტომობილებით გადაადგილებისა და უკანონო პარკირების 5.658 სამართალდარღვევა გამოვლინდა

სექტემბერში ავტობუსის ზოლში ავტომობილებით გადაადგილებისა და უკანონო პარკირების 5.658 სამართალდარღვევა გამოვლინდა. ამის შესახებ ინფორმაციას ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო ავრცელებს.

– გადაადგილების თანაბარი შესაძლებლობები – გზის თანამედროვე დაგეგმარების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. საბჭოთა კავშირის დროს დადგენილი თბილისის სატრანსპორტო სქემის შემდეგ დედაქალაქში პირველად საკონსულტაციო კომპანია „სისტრასთან“ ერთად საზოგადოებრივი ტრანსპორტის ერთიანი ქსელი შემუშავდა.

სქემის მიხედვით განისაზღვრა 10 ძირითადი საგზაო დერეფანი, რომელიც დედაქალაქში ძირითადი მგზავრთნაკადის გადაადგილების მიმართულებებს უზრუნველყოფს.

ასევე შემუშავდა ინტეგრირებული გადახდის სქემა საშეღავათო 90– წუთიანი პერიოდით, სადაც გაერთიანებულია: ავტობუსი, მიკროავტობუსი, მეტრო და საბაგირო.

აღნიშნული 10 საგზაო დერეფნის მოსაწესრიგებლად საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გამოყოფილი სპეციალური, „ავტობუსის ზოლის“ დახაზვითი სამუშაოები ეტაპობრივად მიმდინარეობს.

„ავტობუსის ზოლი“ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გადატვირთული საგზაო მოძრაობის დროს მგზავრთნაკადის გამტარუნარიანობის გასაუმჯობესებლად აპრობირებული მეთოდია.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის უსაფრთხო და სწრაფი გადაადგილების მიზნით, 2022 წლის 1 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, ავტობუსისთვის განკუთვნილ ზოლში კერძო ავტომობილებით გადაადგილებასა და უკანონო პარკირებასთან დაკავშირებით 5.658 სამართალდარღვევა გამოვლინდა, – ნათქვამია სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ზაზა ოქუაშვილი ბიძინა ივანიშვილს ლონდონის სასამართლოში უჩივის

– ქვეყანას რეკეტში მხილებული ოლიგარქი მართავს, – ამის შესახებ ბიზნესმენმა ზაზა ოქუაშვილმა განაცხადა, რომელმაც ოლიგარქისა და მისი თანამზრახველების, ოთარ ფარცხალაძისა და ლევან ყიფიანის წინააღმდეგ ლონდონის სასამართლოში ფულის გამოძალვის ბრალდებით საჩივარი შეიტანა.

„ომეგა ჯგუფის“ ხელმძღვანელი მისი კუთვნილი მილიონ 700 ათასი ლარის დაბრუნებასა და მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ოლიგარქისგან დამატებით 23 მილიონს ითხოვს. საქმე 2016 წლის გახმაურებულ მოვლენებს ეხება, როდესაც ზაზა ოქუაშვილს ოლიგარქის შუშის რეზიდენციაში 4 მილიონი გამოსძალეს.

„ომეგა ჯგუფის“ ხელმძღვანელის თქმით, შეხვედრას, სადაც მას ივანიშვილმა პირადად აიძულა, რომ თანხა. ე.წ. ბიჭებისთვის გადაეხადა, ესწრებოდნენ თავად ბიძინა ივანიშვილი, გიორგი გახარია და ლევან ყიფიანი. ფული ოფშორზე გახსნილ კომპანიაში გადაირიცხა და ოქუაშვილის მტკიცებით, მეორე დღეს, საღამოს 8 საათზე, თიბისი ბანკიდან ყველა საბანკო პროცედურების დარღვევით მისი გამოტანა მოხდა, როდესაც ბანკი დაკეტილი იყო.

ბლინკენი კულებას შეხვდა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბლინკენი უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ კულებას შეხვდა. საუბარი შეეხო რუსეთის მიერ უკრაინის დაბომბვას.

– ჩვენ მხარს ვუჭერთ უკრაინას და მომავალშიც დავუჭერთ, – თქვა ბლინკენმა.

როგორია საშუალო ხელფასი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, 2021 წელს საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გასულ წელთან შედარებით 9.5%-ით (113.5 ლარით) გაიზარდა და 1.304.5 ლარი შეადგინა.

2022 წლის მეორე კვარტლის მონაცემებით, ქვეყანაში საშუალო ხელფასი 1.541.3 ლარს შეადგენს, რაც ახლანდელი კურსით 550.5 აშშ დოლარია.

როგორია საშუალო ხელფასის მაჩვენებელი საქართველოს მეზობელ ქვეყნებში?

რეგიონში ყველაზე მაღალი ხელფასები რუსეთშია. რუსეთის ფედერალური სტატისტიკის სამსახურის თანახმად, ქვეყანაში საშუალო ხელფასი 2022 წლის ივლისის მონაცემებით 62,200 რუბლია, თითქმის 998 აშშ დოლარი.

შემდეგ მოდის სომხეთი, სადაც წელს საშუალო ნომინალური ხელფასი თვეში 223,971 დრამს (554 აშშ დოლარი) შეადგენს.

თურქეთის სტატისტიკის სამსახურის თანახმად, 2022-ში საშუალო თვიური ხელფასი ქვეყანაში 10,000 ლირამდეა (538 აშშ დოლარი). ყველაზე მაღალი ხელფასი IT, საფინანსო და სადაზღვევო და განათლების სექტორებშია.

ყველაზე დაბალი საშუალო ხელფასი რეგიონში აზერბაიჯანშია – 731 მანათი (430 აშშ დოლარი). ყველაზე მაღალანაზღაურებადი სექტორებია მაინინგი, ფინანსები და დაზღვევა, პროფესიული და სამეცნიერო საქმიანობები.

ცნობისთვის, გასულ წელს საქართველოში მედიანური ხელფასი საშუალო ხელფასის მაჩვენებელზე 31%-ით ნაკლები იყო და 900 ლარს შეადგენდა.

მედიანა ზრდადობის მიხედვით დალაგებული მონაცემების შუაში მოქცეული რიცხვია. მაგალითად, თუ საწარმოში 5 ადამიანი მუშაობს, საიდანაც უფროსის ხელფასი 3.000 ლარია, ხოლო თანამშრომლების – 500-500 ლარი, მედიანურად დათვლის შემთხვევაში, მედიანური ხელფასი – 500 ლარი, საშუალო არითმეტიკულის გაანგარიშებით კი თანამშრომლის საშუალო ხელფასი 1.000 ლარი გამოდის. შესაბამისად, ექსპერტების მოსაზრებით, საშუალო ხელფასს მედიანური ხელფასი უკეთესად ასახავს.

რუსეთმა, შესაძლოა, მარცვლეულის ექსპორტზე კვოტა მოხსნას

უხვმოსავლიანობის გამო რუსეთი მარცვლეულის საექსპორტო კვოტის გაუქმების შესაძლებლობას განიხილავს. ამის შესახებ ჟურნალისტებს რუსეთის ვიცეპრემიერმა ვიქტორია აბრამჩენკომ განუცხადა.

„მოსავალი საკმაოდ დიდია, ამიტომ რაიმე სახის შეზღუდვა რაოდენობაზე ახლა არ იქნება“, – განაცხადა მან.

საექსპორტო კვოტა გამოითვლება მარცვლეულის ბალანსზე და ნაწილდება ისტორიული პრინციპით. საექსპორტო კვოტის შესახებ მონაცემები ყოველწლიურად 15 თებერვლიდან 30 ივნისამდე ქვეყნდება. გასულ სასოფლო-სამეურნეო წელს (რომელიც 2022 წლის 30 ივნისს დასრულდა) კვოტამ 11 მილიონი ტონა შეადგინა, მათ შორის იყო 8 მილიონი ტონა ხორბალი, რომელიც 206 კომპანიას შორის განაწილდა.

2022 წელს რუსეთში მარცვლეულის მოსავალი, დაახლოებით 150 მილიონ ტონას მიაღწევს, მათ შორის 100 მილიონი ტონა ხორბალი იქნება, ივარაუდა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

უხვმოსავლიანობისა და რუსეთის შიდა ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით, მინიმუმ 50-60 მილიონი ტონა მარცვლეულის ექსპორტის აუცილებლობა დგება. ამის შესახებ ქვეყნის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილე ოქსანა ლუტმა განაცხადა.

ნიკა ბასილაშვილის დედა: „ნიკას მხრიდან ნელი დოროყაშვილის მიმართ არანაირი ძალადობა არ ყოფილა“

– ნიკას მხრიდან ყოფილი მეუღლის, ნელი დოროყაშვილის მიმართ არანაირი ძალადობა, არც ყვირილი ყოფილა, არც აგრესიულად შენიშვნის მიცემას ჰქონია ადგილი, – ამის შესახებ ბრალდებული ჩოგბურთელის ნიკოლოზ ბასილაშვილის დედამ, ნატალია ნაჭყებიამ, საქალაქო სასამართლოში განაცხადა.

ჩოგბურთელის დედა პროცესზე მოწმის სახით იკითხება, სადაც ჰყვება იმას, თუ რა ტიპის ურთიერთობა ჰქონდა ოჯახს ნელი დოროყაშვილთან.

ნატალია ნაჭყებიას თქმით, როდესაც წყვილს შორის უკვე დაძაბული იყო სიტუაცია, ქონებრივ საკითხზე დავა იყო დაწყებული და განქორწინების შესახებ გადაწყვეტილება იყო მიღებული, ნელი დოროყაშვილმა საკუთარი ინიციატივით ნიკოლოზ ბასილაშვილთან ტურნირზე აშშ-ში წასვლა გადაწყვიტა, სადაც სკანდალური სიტუაცია მოუწყო.

– ნელი აშშ-ში ნიკას ტურნირზე თავისი ინიციატივით ჩავიდა, რაც ძალიან გამიკვირდა. ვიცი, რომ იქ ნელიმ სკანდალური სიტუაცია მოუწყო, რაც მოხდა, ალბათ, თვითონ ნიკა იტყვის. ვიცი ის, რომ ნიკა დაუკავშირდა ნელის მამას და უთხრა, ასეთი სიტუაციაა, დაითანხმეთ, რომ დროზე წავიდეს. როგორც ვიცი, თამაშის დროს სკანდალური სიტუაცია მოუწყო ნიკას. ამის მერე ნელის აკრედიტაცია გააუქმეს და გამოიყვანეს ტურნირიდან. აკრედიტაცია ნიკამ გააუქმა, რადგან თავისი საქმის სრულფასოვნად განხორციელებაში ხელი ეშლებოდა, – განაცხადა ნატალია ნაჭყებიამ.

ამასთან, როგორც ბრალდებული ჩოგბურთელის დედამ აღნიშნა, საკითხი, რაც მას ძალიან აწუხებდა, იყო ის, რომ შვილიშვილის ნახვას და კომუნიკაციას ვერ ახერხებდა.

– მე გამოვიარე სასამართლო პროცესი და ჩემთვის ყველაზე მწვავე იყო ძალადობის საკითხზე პროცესი, შეიძლება ადამიანმა რაღაც დაგაბრალოს, მაგრამ ეს იყო ურთულესი ამბავი.

ნიკას განქორწინება ჰქონდა მოთხოვნილი და ბავშვის ყოველი ნახვა იყო უდიდესი პრობლემა, ეს ინტრიგებთან, შანტაჟთან იყო დაკავშირებული.

მინდა გავიხსენო 2019 წლის 17 ნოემბერი, კარგად მახსოვს ნიკა ჩვენთან იყო სახლში. გვიან ღამით ნელიმ დარეკა, რა დროსაც ემოციურად და ჩხუბით უთხრა ნიკას, მოდი და ბავშვი დააძინეო. თვითონ ეს ფაქტი იყო გასაკვირი, რადგან ამ ყოველდღიურ რეჟიმში, დაძინება და ა.შ. ნიკა არ იყო ჩართული. მან უთხრა ნელის, რომ ვერ მოვალო, რაზეც ნელიმ უპასუხა, მაშინ მე თვითონ მოვალო. აქ უკვე გასაგები იყო ყველაფერი, – განაცხადა ნატალია ნაჭყებიამ.

მისი თქმით, ამის შემდეგ ნიკოლოზ ბასილაშვილი დაუკავშირდა ადვოკატს, რომელმაც ურჩია, რომ „ნელის ხასიათიდან გამომდინარე, ადგილზე პატრულის თანხლებით მისულიყვნენ“.

ნატალია ნაჭყებიას თქმით, დოროყაშვილთან ადგილზე მისულებს სახლში, სასტუმრო ოთახში დამსხვრეული ჭურჭელი დახვდათ.

ნატალია ნაჭყებიამ ასევე გაიხსენა ის ერთ-ერთი ეპიზოდი, როდესაც მისი მტკიცებით, ნელი დოროყაშვილი მათთან ოჯახში მივიდა, რომ შვილი წამოეყვანა.

ნაჭყებიას თქმით, დოროყაშვილის მხრიდან აგრესიას ამ შემთხვევაშიც ჰქონდა ადგილი.

მისი თქმით, ნელი დოროყაშვილმა მას ხელი აუქნია და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რაზეც მოსამართლემ მოწმეს მიუთითა, თუ რა შეურაცხმყოფელ სიტყვებზე იყო საუბარი, რა დროსაც ნატალია ნაჭყებიამ აღნიშნა, რომ იმ შეურაცხმყოფელ სიტყვას საჯაროდ, პროცესზე ვერ იტყოდა.

მოსამართლის მითითების შესაბამისად, აღნიშნული სიტყვა ნატალია ნაჭყებიამ ფურცელზე დაწერა.

გარდა ამისა, ნატალია ნაჭყებიას თქმით, მან ნახა მიმოწერები, რითაც ირკვევა, რომ ნელი დოროყაშვილი ნიკოლოზ ბასილაშვილს საკუთარ დედაზე შეურაცხმყოფელ სიტყვებს წერდა.

– ადამიანს უნდოდა, რომ ყველანი მწყობრიდან გამოვეყვანეთ. თავმოყვარე ადამიანს დედაზე ასეთ „მესიჯს“ რომ წერ, ერთია რომ ეს არის ემოციური მდგომარეობა, მეორეა ის, რომ ნორმალური ადამიანი განსაზღვრავდა, ამას მოჰყვებოდა ცუდი რეაქცია. ეს მესინჯები ემსახურებოდა იმას, რომ ნიკა გამოეყვანა მწყობრიდან, – აცხადებს ნატალია ნაჭყებია.

რაც შეეხება ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილმა მეუღლეს ქორწილის დღეს მიაყენა შეურაცხყოფა, ნატალია ნაჭყებია მსგავს ფაქტს გამორიცხავს.

– ეს მე არ დამინახავს და არც ინფორმაციას ვფლობ ამაზე, ჩემი შეფასებით, ეს გამორიცხულია, – განაცხადა ნატალია ნაჭყებიამ.

ცნობისთვის, საქართველოს პროკურატურამ ყოფილი მეუღლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე ნიკოლოზ ბასილაშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარუდგინა, რაც გულისხმობს ოჯახში ძალადობას არასრულწლოვანის თანდასწრებით. მოგვიანებით პროკურატურამ ბასილაშვილს ბრალდება დაუზუსტა და მას ძალადობის რამდენიმე ეპიზოდთან ერთად, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ ძალადობასაც ედავებიან.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 21 მაისს, თბილისში, ავჭალის დასახლებაში, ნიკოლოზ ბასილაშვილმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ყოფილი მეუღლის ნელი დოროყაშვილის მიმართ ფიზიკური ძალადობა განახორციელა. სამართალდამცველებმა ნიკოლოზ ბასილაშვილი 2020 წლის 22 მაისს დააკავეს. სასამართლომ ბასილაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით 100.000-ლარიანი გირაო შეუფარდა.

ნიკოლოზ ბასილაშვილს ფიზიკური ძალადობის 4 და ფსიქოლოგიური ძალადობის ერთ ეპიზოდზე ედება ბრალი.

სოსო გოგაშვილს ბრალი დაუმძიმდა

გენერალურმა პროკურატურამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილ მოადგილე სოსო გოგაშვილს ბრალი დაუმძიმა.

პროკურატურის ინფორმაციით, გოგაშვილს ახალი ბრალდება სახელმწიფო საიდუმლოების განზრახ გახმაურებისა და პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტებზე წარედგინა.

– ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდების შემდგომ ჩატარებული გამოძიების ფარგლებში დამატებით გამოიკვეთა შემდეგი:

ბრალდებულს 2015-2018 წლებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის თანამდებობაზე მუშაობის დროს, სამსახურებრივი პოზიციიდან გამომდინარე, ხელი მიუწვდებოდა, როგორც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციაზე, ასევე პირად და პერსონალურ მონაცემებზე, რომლებიც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, პირადი მიზნებისთვის უკანონოდ გაიტანა სამსახურიდან და ინახავდა თავის საცხოვრებელ სახლში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან უკანონოდ გატანილი საიდუმლო ინფორმაციის ნაწილი ბრალდებულმა გადასცა სხვა პირს, რითიც მან ჩაიდინა სახელმწიფო საიდუმლოების განზრახ გახმაურება.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულს უკანონოდ ჰქონდა მოპოვებული არაერთი პირის პირადი ცხოვრების საიდუმლოს ამსახველი ვიდეომასალა, რომლებსაც უკანონოდ ინახავდა მის კუთვნილ ელექტრონულ მოწყობილობებში.

გარდა ზემოხსენებული ახალი ეპიზოდებისა, საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ი.გ. ასევე ბრალდებულია სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, პერსონალური მონაცემების ხელყოფის და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე, რაც გამოიხატა შემდეგში:

ბრალდებულმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან უკანონოდ გატანილი საიდუმლო მასალები შეინახა საკუთარ სახლში, რითიც შექმნა სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურების საფრთხე, ხოლო ინფორმაციის ნაწილი – პერსონალური მონაცემები მისი მონაწილეობით გავრცელდა საჯარო სივრცეში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

გარდა ამისა, ბრალდებულმა მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და ინახავდა ორ დაურეგისტრირებელ და ნათესავის სახელზე რეგისტრირებულ სამ ცეცხლსასროლ იარაღს და საბრძოლო მასალას.

საზოგადოების ინფორმირების მიზნით განვმარტავთ, რომ ი.გ.-ს ამ ეტაპზე ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული 320-ე მუხლის პირველი ნაწილით (სახელმწიფო საიდუმლოების განზრახ გახმაურება), 157 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება და შენახვა); 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია), 157-ე მუხლის მე-4 ნაწილით (პერსონალური მონაცემების უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გავრცელება მასობრივი მაუწყებლობის მეშვეობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) და 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა).

წარდგენილი ბრალდებები სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით ითვალისწინებს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გრძელდება გამოძიება, როგორც აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, აგრეთვე ბრალდებულისა და მისი ოჯახის წევრების და მათთან დაკავშირებული პირების საკუთრებაში არსებული ქონების წარმომავლობის კანონიერების დადგენის ფაქტებზე, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ლიბანის მოქალაქემ საქართველოში 11 კილოგრამი ვერცხლი და მარგალიტი შემოიტანა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე გამოავლინეს დიდი ოდენობით არადეკლარირებული სხვადასხვა სახის სამკაულებისა და ოქროს ნაკეთობების შემოტანის ორი ფაქტი.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ შემთხვევაში ლიბანის მოქალაქემ, ბათუმის აეროპორტის გავლით, თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში, საბაჟო კონტროლისაგან მალულად, გადმოიტანა დაახლოებით 11 კილოგრამი ვერცხლისა და მარგალიტისგან დამზადებული სამკაულები, ხოლო მეორე შემთხვევაში, საბაჟო გამშვები პუნქტი სადახლოს გავლით, სომხეთის რესპუბლიკიდან საქართველოში, ავტომობილში მოწყობილი სამალავით, სარეალიზაციოდ შემოტანილ იქნა 217 გრამის ოდენობის ოქროს ნაკეთობები.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯამში ამოღებული ძვირფასეულობის ჯამური საბაჟო ღირებულება შეადგენს 42.383 ლარს, – ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციაში.

საგამოძიებო სამსახურის ცნობით, საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 7 წლამდე ვადით.

26 წლის მარიამ გამტკიცულაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ თორნიკე გამხვეტელაშვილს პატიმრობა შეეფარდა

თელავის რაიონულმა სასამართლომ 26 წლის მარიამ გამტკიცულაშვილის მკვლელობაში ბრალდებულ თორნიკე გამხვეტელაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.



ბრალდებულმა სასამართლო პროცესზე აღნიშნა, რომ ჩადენილს ნანობს.

– მკვლელობას გამართლება არ აქვს. არც არაფერს ვითხოვ, ან რა უნდა ვთქვა. სასამართლოდან წასვლის შემდეგ, რაც გამათავისუფლეს, მარი მირეკავდა და მეუბნებოდა, რომ, თუ მივატოვებდი თავს მოიკლავდა. იმ დღესაც ჩემი ნივთების წამოსაღებად მივედი. მარისთან რომ მივედი, მეუბნება, სანამ წახვალ, ჩვენი დაშორების დავლიოთო. მეთქი, კარგი დავლიოთ. უცბად იქ თავისი დაქალი აღმოჩნდა. მივხვდი, მე რომ შემაკავებელი მქონდა, ესენი ჩემს დაჭერას აპირებდნენ. მანამდეც მითხრა, მოგიტყუე იმიტომ, რომ დაჭერა მინდოდაო. ვკითხე, ამას იმიტომ აკეთებ, რომ შენთან ვიყო-მეთქი? დაჟინებული სურვილი, რომ მასთან ვყოფილიყავი, ვერ გადავათქმევინე. მინდოდა, მომეშორებინა თავიდან.

სანამ ჩვენ ვსაუბრობდით, ბავშვები დაქალმა გაიყვანა სახლიდან, ეს ბავშვი თურმე ბებიასთან ასულა და უთქვამს ჩვენზე, ჩხუბობენო. მანამდე დაქალი რომ გავიდა, ვეუბნებოდი მეც წავალო, ხელზე მექაჩებოდა, რომ ვერსად ვერ წახვალო, დაგიჭერენო. ნასვამი ვიყავი, ვეუბნებოდი, შემეშვი-მეთქი. იმდენად გამომიწვია და გამაგიჟა, რომ ეს სისულელე გავაკეთე და ვნანობ, მაგრამ ამას არაფერი ეშველება. საერთოდ ყველაფერს ვნანობ. ეგეც რომ გავიცანი, იმასაც ვნანობ. ჩემი მეუღლე არ იყო, უბრალოდ, ერთად ვცხოვრობდით, – ამბობს თორნიკე გამხვეტელაშვილი.

სხდომაზე ბრალდების მხარემ დანაშაულის სიმძიმეზე და ბრალდებულისგან მოსალოდნელ საფრთხეებზე ისაუბრა, რის გამოც პატიმრობის შუამდგომლობა დააყენა. დაცვის მხარე კი გირაოს შეფარდებას მოითხოვდა და არ ეთანხმებოდა სახელმწიფო ბრალმდებელს მიმალვის და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხეებზე.

შემდეგი სასამართლო სხდომა 22 ნოემბერს 13:00 საათზე ჩაინიშნა.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, პირი, რომელსაც თელავში მეუღლის დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობა ედება ბრალად, 4 ოქტომბერს, ცოლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობისთვის დააკავეს, თუმცა თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ბრალდებულის დაკავება უკანონოდ ცნო და გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, ბრალდებულს, რომელსაც არ შეეფარდა პატიმრობა, მიეცა შესაძლებლობა სისრულეში მოეყვანა თავისი მუქარა და სასტიკად გაუსწორდა მეუღლეს, რასაც საბოლოოდ მკვლელობა მოჰყვა.

თბილისის აეროპორტში არადეკლარირებული მობილური ტელეფონები აღმოაჩინეს

საბაჟო-გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქის ა.უ.-ს კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული მობილური ტელეფონები (53 ცალი) აღმოაჩინეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 58.093.14 ლარი შეადგინა.

მათივე ცნობით, საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა.

რუსთავში 20 წლის ბიჭი მეშვიდე სართულიდან გადმოვარდა და დაიღუპა

რუსთავში, მე-7 მიკრორაიონში, უბედურ შემთხვევას 20 წლის ბიჭი ემსხვერპლა.

საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ბიჭი ერთ-ერთი კორპუსის მე-7 სართულის ფანჯრიდან შემთხვევით გადმოვარდა. ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო დახმარების ეკიპაჟიც, თუმცა მედიკოსებს ახალგაზრდა გარდაცვლილი დახვდათ. შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ სამართალდამცავებიც.

ხობში მდინარესთან უცნობი მამაკაცის ცხედარი იპოვეს

ხობის მუნიციპალიტეტ სოფელ ახალ ხიბულაში მდინარე ჭანისწყალში მამაკაცის ცხედარი იპოვეს. სოფლის რწმუნებულის თქმით, გარდაცვლილი, სავარაუდოდ, ადგილობრივი მკვიდრი არ არის.

– მამაკაცის ცხედარია, ადგილი მიუვალია, ტელეფონიც ცუდად იჭერს, ყველა ერთმანეთს ვიცნობთ სოფელში. სავარაუდოდ, ადგილობრივი არ არ არის, – თქვა რწმუნებულმა.

უკრაინა ცეცხლშია გახვეული

ყირიმის ხიდის აფეთქებამ პუტინი განარისხა. ამას ფრონტზე დანაკარგების ზრდაც დაერთო.

თანახმად უკანასკნელი ცნობისა, ოკუპანტების დანაკარგები შემდეგია:

ტანკები – 2495, თვითმფრინავები – 267, ვერტმფრენები – 235. განადგურებულია 62.870 ოკუპანტი.

პუტინის პასუხმა არ დააყოვნა. 10 ნოემბერს, დილით, დაიწყო უკრაინის ტოტალური ბომბარდირება. დაარტყეს ყველა დიდ ქალაქს, მათ შორის კიევს, ხარკოვს, ოდესას, ლვოვს, ივანო-ფრანკოვსკს, დნეპრსა და ა.შ.

კიევში დაღუპულთა რაოდენობამ 47-ს მიაღწია. უამრავი ადამიანი დაშავდა. განადგურებულია 11 ობიექტი. ოკუპანტები გეგმაზომიერად ანადგურებენ კრიტიკულ ინფრასტრუქტურას: ხიდებს, ელექტროსადგურებს, სკოლებს, საავადმყოფოებს, საბავშვო ბაღებსა და ა.შ.

– რუსი ოკუპანტები ცდილობენ, ჩვენს რიგებში პანიკა დათესონ. მათ არაფერი გამოუვათ! პირდაპირ ვაცხადებ, ჩვენ არ გადავუხვევთ არჩეულ გზას! ოკუპანტებზე კი აუცილებლად შურს ვიძიებთ! – განაცხადა პრეზიდენტმა ზელენსკიმ.

უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ცნობის თანახმად, რუსებმა გაუშვეს რაკეტები როგორც შავი ზღვის აკვატორიიდან, ასევე კასპიის ზღვისპირეთის რეგიონიდან.

კიევის მერმა ვიტალი კლიჩკომ საგანგებოდ მიმართა მოსახლეობას:

– მოგიწოდებთ, მოიმარაგოთ წყალი, სურსათი, შეძლებისდაგვარად არ გამოხვიდეთ ბინებიდან და საჰაერო განგაშის დაწყებისთანავე თავშესაფარში ჩახვიდეთ!

ექსპერტი ოლეგ ჟდანოვი ვარაუდობს, რომ მსგავსი დაბომბვები გაგრძელდება. ამავე დროს, ის ხაზს უსვამს იმასაც, რომ რუსებს ფრთოსანი რაკეტები აშკარად შემოაკლდათ. ერთ ობიექტს რუსი ოკუპანტები სამ რაკეტაზე მეტს ვერ ესვრიან. აღსანიშნავია, რომ ამა წლის მარტში, როცა ომი ახალი დაწყებული იყო, ერთ ობიექტს ოკუპანტები 10-11 რაკეტას უშენდნენ.

– შექმნილი მდგომარეობა გვაიძულებს, თავი დავიცვათ და რუსეთის ტერიტორიას დავარტყათ, – თქვა ჟდანოვმა.

ამავე დროს, ცხადია, რომ მსგავსი პერსპექტივა აშინებს დასავლეთის რიგ ქვეყანას. არც აშშ-ში ხვდებიან ამას აღტაცებით. შესაბამისად, ზელენსკიმ თამაში საკუთარ თავზე უნდა აიღოს. რუსეთის გარდა, დარტყმა ბელორუსზეც უნდა განხორციელდეს, რადგანაც დიქტატორმა ლუკაშენკომ განაცხადა, რომ ბელორუსის არმია რუსებთან ერთად უკრაინაში შეიჭრება.

– ზელენსკიმ, როგორც უმაღლესმა მთავარსარდალმა, უნდა გასცეს ბრძანება, დაარტყან რუსეთის ქალაქებს: ბელგოროდს, როსტოვს, ვორონეჟსა და ალბათ ვოლგოგრადსაც. სარაკეტო დარტყმები ბელოუსზეც უნდა განხორციელდეს. უკრაინას საამისო შესაძლებლობები გააჩნია! – ამბობს ჟდანოვი.

ზელენსკიმ ბაიდენს მადლობა გადაუხადა

რუსეთის სარაკეტო დარტყმებს უკრაინაზე გამოეხმაურა აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი. თეთრი სახლის პრესსამსახურის განცხადებით, ბაიდენმა რუსეთის ქმედებები დაგმო და მოუწოდა კრემლს, გაეყვანა ჯარი უკრაინიდან.

– პუტინმა პასუხი უნდა აგოს, როგორც სამხედრო დამნაშავემ, – თქვა ბაიდენმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ კიევისადმი ვაშინგტონის დახმარება კიდევ უფრო გაიზრდება. ზელენსკისთან სატელეფონო საუბრისას ბაიდენი მას ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის მიწოდებას შეჰპირდა.

ზელენსკიმ ამერიკელ კოლეგას მადლობა გადაუხადა.

– დღეს ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის მიწოდების საკითხი უკრაინა-აშშ-ის სამხედრო თანამშრომლობაში მთავარია, – განაცხადა ზელენსკიმ.

ჯონ კირბი: „პუტინს მშვიდობა არ სურს!“

თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯონ კირბიმ განაცხადა, რომ უკრაინაში ესკალაცია დაიწყო. კირბიმ ეს ბრალად დასდო რუსეთის დიქტატორს.

– პუტინს მშვიდობა არ სურს! – თქვა მან.

ამავე დროს, კირბიმ ხაზი გაუსვა, რომ არ არსებობს არავითარი ნიშანი იმისა, რომ რუსეთი აპირებდეს ბირთვული იარაღის გამოყენებას.

– აშშ თავის სტრატეგიას არ შეცვლის, – თქვა კირბიმ.

სტოლტენბერგი: „ნატო გმირი უკრაინელი ხალხის დახმარებას გააგრძელებს!“

ნატომ რუსეთის მიერ უკრაინის დაბომბვა დაგმო. ამის შესახებ განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა.

– ნატო გმირი უკრაინელი ხალხის დახმარებას გააგრძელებს, – თქვა მან.

გერმანია უკრაინას ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას გადასცემს

გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ლამბრეხტმა რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის ბომბარდირებას ვანდალიზმი უწოდა. ლამბრეხტმა განაცხადა, რომ გერმანია უკრაინას ჰაერსაწინააღმდეგო სისტემას გადასცემს.

– პირველი პარტია უკრაინაში უკვე რამდენიმე დღეში ჩავა, – თქვა ლამბრეხტმა.

უკრაინული არმია წინსვლას განაგრძობს

დაბომბვების მიუხედავად, უკრაინული არმია ყველა ფრონტზე განაგრძობს წინსვლას. რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ლიმანის მიმართულებით რიგი ქალაქების აღების თაობაზე სიმართლეს არ შეესაბამება. უკრაინელებმა კი განაგრძეს წინსვლა ხერსონის მიმართულებით. შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს წინსვლა ლუგანსჩინაზე, თუმცა ის სახეზეა და გრძელდება.

– უკრაინელმა ჯარისკაცებმა რამდენიმე რუსული სარაკეტო კომპლექსი და მართვის ობიექტი გაანადგურეს, – იტყობინება „რბკ-უკრაინა“.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მალამო მენტორი პირველი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი პირველი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, პოდაგრა, სახსრებსა და ხერხემალში მარილების დაგროვება, რევმატიული სახსრების ანთება, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება. მკურნალობისას ნადგურდება სოკო. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში წელზე, მუხლებზე, სახსრებზე. მკურნალობისას თანდათან მცირდება ტკივილები, შეშუპება. მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ტრადიციული გამოცდილების მქონე ბუნებრივი მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: ქუსლის კანის გარქოვანება, ქუსლებზე ნახეთქები, ბუასილის კვანძების, ნაწოლების, ინსულტის შემდგომი სისუსტე. **გამოყენების წესი:** მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში. მცირდება ტკივილები, შეშუპება მუხლის ტროპიკული წყლულის არსებობის, ვარიკოზული ვენების გაფართოების დროს. პრეპარატის გავლენით წყლულები იწმინდება და ჩქარდება მათი შეხორცება. თანდათან ქრება თრომბები.

სპრეი მენტორი 7

გამოიყენება მავნე რესპირატორული ვირუსების, გრიპის დასამარცხებლად, გაცივებისას ცხვირის არხებიდან გამონადენის შესაჩერებლად, ნახველის გასათხელებლად.

სპრეის გამოყენების შედეგად ნადგურდება მავნე ბაქტერიები, უმჯობესდება სუნთქვა, მცირდება/წყდება გამონადენი ცხვირიდან, უმჯობესდება ჯანმრთელობა.

შექმნილია ანტიალერგიული მცენარეებისგან.

მიღების წესი: კარგად გავითავისუფლოთ ცხვირის არხები გამონადენისგან და შევისხუროთ სპრეი ორივე ნესტოში, ასევე ყელში.

☎ 599-73-48-21.

ყაზბეგი დაუმარცხებელი და ლიდერია

ლოკომოტივი-ყაზბეგი 8:26

სტეფანწმინდის ყაზბეგმა 8-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ თბილისის ლოკომოტივს 4 უპასუხო ლელო გაუტანა, ბონუსით გაიმარჯვა და ცხრილში პირველ ადგილზე აინაცვლა.

ყაზბეგმა განვლილი 5 თამაშიდან 4 მოიგო, ჯამში 19 ქულას მოუყარა თავი და ხუთი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობს. ლოკომოტივი ჯერაც მოგების გარეშეა და ერთი ნუგეშ-ქულით ბოლო, მე-10 ადგილს იკავებს.

გორში თამაში „რკინიგზელების“ შეტევებით დაიწყო და მათ მოლს ჯერ გიორგი ჯამბურიძის სინბინი მოჰყვა, მერე – ლუკა სახელაშვილის ლელო. ოთარ ტალახაძეს მე-13 წუთზე გასატანი პოზიციიდან ჯარიმა გაუცუდდა. სახელაშვილმა ზურგქარით ისარგებლა და მე-19 წუთზე ჯარიმით ანგარიში 8:0 გახადა. თუმცა შემდეგ ნომინალურმა მასპინძლებმა ქულა ვეღარ აიღეს. თამაში რომ განახლდა, სინბინით დიმა ხურცილავა დაისაჯა და ყაზბეგმა რიცხობრივი უპირატესობა 4 წუთში გამოიყენა.

ძალისმიერი ლელო სინბინიდან დაბრუნებულმა ჯამბურიძემ გაიტანა, ტალახაძემ კი გარდასახა. ნელ-ნელა სტეფანწმინდელების უპირატესობა გამოიკვეთა და სწრაფმა უკანახაზელებმა ხაზი რამდენჯერმე გაჭრეს. 37-ე წუთზე ნიკა გიგაურმა ფეხით გადაიკიდა ბურთი, მას თავად დაეუფლა და ლელოთი საკუთარი გუნდი დააწინაურა. ტალახაძემ ესეც გარდასახა – 14:8.

ყაზბეგის ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობის მიუხედავად, ანგარიში დიდი ხნის განმავლობაში არ შეცვლილა. 63-ე წუთზე ლოკომოტივი კიდევ ერთხელ დარჩა კაცნაკლული. ხშირი ჯარიმების გამო ყვითელი ბარათი რამაზ ბენდელიანმა მიიღო და სტეფანწმინდელებმა 2 წუთში ორი ლელო გაიტანეს – 5-მეტრიანი შერკინებიდან ბურთი ხაზზე გავიდა, ოთარ ტალახაძემ შეუტია და, კონტაქტის მიუხედავად, მიზანს მისწვდა. თამაში რომ განახლდა, ლუკა ალიბეგაშვილმა მარცხენა ფრთაზე სამი მბოჭავი ჩამოიცილა და მისი ლელოს შემდეგ ანგარიში 26:8 გახდა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ნიკა გიგაური გახდა.

ახესი-ხვამლი 24:22

ქუთაისის არესმა თბილისის ხვამლს გაწითლებულ დროზე გატანილი გარდასახვით 24:22 სძლია და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე დაქვეითდა.

დებიუტანტმა ხვამლმა მეტოქეს, ტრადიციულად, დიდი ბრძოლა გაუმართა და, მართალია, მეოთხედ დამარცხდა, მაგრამ მესამედ მოახერხა ნუგეშ-ქულის აღება. მუხიანელები 5 თამაშიდან 8 ქულით მე-8 ადგილზე არიან. არესმა კი მეოთხე თამაში მოიგო და 18 ქულით ჯერჯერობით პირველ ადგილზეა.

თამაში მასპინძლების შეტევებით დაიწყო და მე-2 წუთზე გიორგი თევდორაძემ ჯარიმით ანგარიში გახსნა. მე-13 წუთზე არესმა ხელდახელ, ოფლოუდებით შეუტია, გიორგი თავაძე ზედ ლელოსთან შეაჩერეს, მაგრამ რაქიდან ნიკა ძნელაძემ შეუტია და ლელო გაიტანა, თევდორაძემ კი გარდასახვით სხვაობა 10 ქულამდე გაზარდა. ორმხრივი შეცდომების ფონზე, ხვამლმა 26-ე წუთზე საკუთარ ნახევარზე ჯარიმა გამოიმუშავა და ზურა ქობელაშვილის 55 მეტრიდან დარტყმული ზუსტი აღმოჩნდა.

ქუთაისელებს საპასუხო დარტყმა გაუფუჭდათ, მაგრამ 32-ე წუთზე არსენ მაჩალაძემ, რეზო არჩვაძემ და პაატა ზედაშიძემ ხელით სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს და ამ უკანასკნელმა ლელო გაიტანა, თევდორაძემ კი გარდასახა. 14-ქულიანი ჩამორჩენა ხვამლმა სულ რაღაც 3 წუთში აღმოფხვრა. 35-ე წუთზე სტუმრებმა მოლის შემდეგ ხაზზე გაიტანეს ბურთი, ორსვლიანი, სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს და ღაშა კაკაურიძემ ღამაზი ლელო გაიტანა. შემდეგ ჯერზე დერეფნიდან ბოლომდე ჩათამაშდა ბურთი და საბა არაგველმა მეორე ლელო გაიტანა, ქობელაშვილმა კი ორივე გარდასახა – 17:17.

50-ე წუთზე სტუმრებმა მეტოქე წნეხში მოაქციეს და შეცდომა დააშვებინეს, მერე 5-მეტრიანი დერეფნიდან მოლით შეუტიეს და გიორგი ვარდოსანიძის ლელოთი დაწინაურდნენ. გარდასახვა არაზუსტი იყო. დასკვნით მეოთხედში არესი ძალისმიერ თამაშში უკეთ გამოიყურებოდა და ხვამლმა 4 წუთის ინტერვალში სინბინით ტატო ლეჟავა და საბა კურტანიძე დაკარგა. მიუხედავად ამისა, მათ შეძლეს თავის დაცვა, მაგრამ, შემადგენლობა შეივსეს თუ არა, ლუკა ცხვედიანმა უხეში ბოჭვა შეასრულა და წითელი ბარათით დაისაჯა.

არესმა ძალები მოიკრიბა და დერეფნიდან მოლი დააყენა. მასში თითქმის მთელი გუნდი ჩაერთო და 15 მეტრი იარა, ზედ ლელოს ხაზთან წარმოქმნილი რაქიდან ნიკა სირაძემ შეუტია და წონასწორობა აღადგინა. თევდორაძემ გარდასახვა ზუსტად შეასრულა და ზედიზედ მეორე მატჩში საკუთარ გუნდს გამარჯვება ბოლო წუთზე მოუტანა – 24:22.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ზურაბ ერისთავი გახდა.

აია-ბათუმი 0:29

ბათუმმა აიას ქუთაისში 5 უპასუხო ლელო გაუტანა და ბონუსით, 29:0 დაამარცხა. ზღვისპირელებისთვის ეს მიმდინარე სეზონში მესამე მოგებაა და 14 ქულით მე-5 ადგილზე აღზევდნენ. აიას 12 ქულა დარჩა და მე-7 პოზიციაზეა.

აია არენაზე თამაში მასპინძელთა შეტევებით დაიწყო, მაგრამ სტუმრებმა კარგად დაიცვეს თავი, მერე მეტოქე წნეხში მოაქციეს, ფეხით თამაშისას შეცდომა დაუშვებინეს და ხელდახელ კონტრშეტევა ნიკა ნინიძის ლელოთი დასრულდა. 30-ე წუთზე კობა ბუჯიაშვილმა სწრაფად გაითამაშა ჯარიმა და, სანამ მცველები გონს მოვიდოდნენ, ბექა ურჯუკაშვილი ლელოში შეუშვა. რეზი ჯინჭველაშვილმა გარდასახა. მალე სტუმრები მიხეილ წიკლაურის სინბინის გამო კაცნაკლულები დარჩნენ, მაგრამ აიამ რიცხობრივი უპირატესობით ვერ ისარგებლა – 0:12.

მეორე ტაიმში ბათუმი ზურგქარში თამაშობდა და შეტევების დასალაგებლად გარკვეული დრო დასჭირდა. შემდეგ აიამ ერთი წუთის ინტერვალით სინბინით ორი მოთამაშე დაკარგა – საბა ერემეიშვილი და გიორგი სინაურიძე.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

შედეგები

10 ოქტომბერი
ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ნოტინგემი-ასტონ ვილა 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.არსენალი	9	8	0	1	23-10	24
2.სიტი	9	7	2	0	33-9	23
3.ტოტენჰემი	9	6	2	1	20-10	20
4.ჩელსი	8	5	1	2	13-10	16
5.მანჩესტერი	8	5	0	3	13-15	15
6.ნიუკასლი	9	3	5	1	17-9	14
7.ბრაიტონი	8	4	2	2	14-9	14
8.ბორნმუთი	9	3	3	3	8-20	12
9.ფულემი	9	3	2	4	14-18	11
10.ლივერპული	8	2	4	2	20-12	10
11.ევერტონი	9	2	4	3	8-9	10
12.ბრენტფორდი	9	2	4	3	16-17	10
13.ვესტ ჰემი	9	3	1	5	8-10	10
14.ლიდსი	8	2	3	3	11-12	9
15.კრ.პალასი	8	2	3	3	10-12	9
16.ასტონ ვილა	9	2	3	4	7-11	9
17.საუთჰემპტონი	9	2	1	6	8-17	7
18.ვულვზი	9	1	3	5	3-12	6
19.ნოტინგემი	9	1	2	6	7-22	5
20.ლესტერი	9	1	1	7	15-24	4

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ელჩე-მალიორკა 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	8	7	1	0	20-1	22
2.რეალი	8	7	1	0	19-7	22
3.ბილბაო	8	5	2	1	17-5	17
4.ატლეტიკო	8	5	1	2	14-7	16
5.ბეტისი	8	5	1	2	10-5	16
6.სოსიედადი	8	5	1	2	13-11	16
7.ვალენსია	8	4	1	3	14-8	13
8.ოსასუნა	8	4	1	3	9-8	13
9.ვილიარეალი	8	3	3	2	10-3	12
10.რაიო	8	3	1	4	10-12	10
11.სელტა	8	3	1	4	9-14	10
12.მალიორკა	8	2	3	3	7-9	9
13.ვალიადოლიდი	8	2	2	4	6-13	8
14.ხირონა	8	2	1	5	11-14	7
15.ალმერია	8	2	1	5	7-12	7
16.ხეტაფე	8	2	1	5	8-16	7
17.ესპანიოლი	8	1	3	4	11-16	6
18.სევილია	8	1	3	4	8-14	6
19.კადისი	8	1	2	5	3-17	5
20.ელჩე	8	0	2	6	4-19	2

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ეიბარი-მირანდესი 0:0

იტალია. სერია ა

ფიორენტინა-ლაციო 0:4

სატურნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	9	7	2	0	22-6	23
2.ატალანტა	9	6	3	0	14-5	21
3.ლაციო	9	6	2	1	21-5	20
4.უდინეზე	9	6	2	1	19-10	20
5.მილანი	9	6	2	1	18-9	20
6.რომა	9	6	1	2	12-9	19
7.ინტერი	9	5	0	4	16-14	15
8.იუვენტუსი	9	3	4	2	12-7	13
9.სასუოლო	9	3	3	3	11-10	12
10.ტორინო	9	3	2	4	7-11	11
11.სალერნიტანა	9	2	4	3	12-14	10
12.მონცა	9	3	1	5	9-14	10
13.ფიორენტინა	9	2	3	4	7-11	9
14.ემპოლი	9	1	5	3	8-11	8
15.სპეცია	9	2	2	5	7-17	8
16.ლეჩე	9	1	4	4	8-11	7
17.ბოლონია	9	1	4	4	8-14	7
18.ვერონა	9	1	2	6	8-17	5
19.კრემონეზე	9	0	3	6	7-19	3
20.სამპდორია	9	0	3	6	5-17	3

საფრანგეთი. ლიგა 2

სოშო-სტ.ეტიენი 2:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

არროუკა-ფამილიკაო 4:1

თურქეთი. სუპერლიგა

ბაშაქშეჰირი-სივასი 0:2
ტრაბზონი-ქაშიმფაშა 0:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

ატრომიტოსი-იანინა 2:1

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ჩენსტოხოვა-ლეგნიცა 1:0
პიასტი-ვიძევი 1:2

უნგრეთი. 1 დივიზიონი

ფეჰერვარი-უიპეშტი 0:1

დანია. სუპერლიგა

ჰორსენსი-ოლბორგი 0:0

შვედეთი. აალსვენსკა

ნორჩიოპინგი-მიალბი 2:2
ჰამარბი-ვარბერგი 5:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ტატო გრიგალაშვილი: „ჩემი მიზანი ოქროსფერი არშიაა“

მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ ტატო გრიგალაშვილის კომენტარი ევროპის ძიუდოს კავშირის (ეჯუ) ვებგვერდზე გამოქვეყნდა, სადაც ჩვენებური საკუთარ ტრიუმფზე საუბრობს, თუმცა მთავარ მიზნად ოლიმპიური ჩემპიონობა აქვს დაგეგმილი.

ტატო გრიგალაშვილი:

– ტაკანორი ნაგასესთან ჭიდაობა დამატებითი გამოწვევა იყო. ნაგასეს ზურგზე ოლიმპიური ჩემპიონებისთვის განკუთვნილ ოქროსფერ არშიას ვხედავდი, რომელიც ჩემი უმთავრესი სამიზნეა. სხვა საქმეა, რომ ეს ყველაზე რთული ორთაბრძოლა არ ყოფილა. თითქოს უფრო მეტი მოტივაცია მე მქონდა, რადგან ოლიმპიურ ჩემპიონს ვხვდებოდი და ეს განსაკუთრებული იყო.

მატიას კასე ჩვენს წონით კატეგორიაში ერთ-ერთი საუკეთესოა, უმაღლესი კლასის ძიუდოისტი. ტაქტიკურად ძლიერია და ჭკვიანად მოქმედებს. კასეს უკვე 5-ჯერ შევხვდი. სამწუხაროდ, წინა მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიადაზე დავმარცხდი. აი, მიმდინარე წელი კი განსხვავებულია, რადგანაც ევროპის ჩემპიონატზეც მოვუგე და ახლა – მსოფლიოზეც. ამ ტურნირისთვის მართლაც კარგად მოვემზადე, საკუთარ თავსა და კონკურენტებს ვაჯობე და ბოლოს ყველაზე ძლიერს, კასესაც მოვუგე.

მსოფლიოს ჩემპიონობა ნამდვილი სასწაულია. ამ ტიტულზე ვოცნებობდი, რადგანაც საქართველოში ძიუდო ძალიან უყვართ და მნიშვნელოვანი ამბავია. ჩემს კარიერაში განსაკუთრებული დღე იყო, მაგრამ ამით არაფერი სრულდება, რადგანაც წინ კიდევ ბევრი გამოწვევაა. უბრალოდ, ამ დროისთვის მსოფლიოს პირველობის ოქრო ყველაზე წინ დგას.

ტრიბუნაზე ქართველი გულშემატკივრები მრავლად იყვნენ, სხვებიც ძალიან აქტიურობდნენ და, როდესაც ხალხი ასე გიჭერს მხარს, წაგება დაუშვებელია. ძალიან მიხარია, რადგანაც ვიცი, რომ ბევრი ადამიანი გავაბედინერე. ამან დამატებითი ძალა და თავდაჯერებულობა მომცა. მაგარია, რომ ჩემი შანსის გამოყენება მოვახერხე.

წარმატების საფუძველი და გამარჯვების მთავარი საყრდენი ქართული სული და ქართული ენებაა. ჩვენი სამშობლოს მებრძოლები ვართ და ყველა წარმატება გულიდან მოდის.

18 წლამდე მორაგბეთა ნაკრები ევროპის ჩემპიონია

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა პორტუგალიელი თანატოლები 34:10 დაამარცხეს და ზედიზედ მეოთხედ მოიპოვეს ევროპის ჩემპიონის ტიტული.

18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს საქართველომ პირველად უმასპინძლა და თამაშები თბილისსა და რუსთავში გაიმართა. გადამწყვეტი თამაში ხარები არენაზე შედგა. საქართველომ მეტოქე პირწმინდად დაჯაბნა და თასი დამსახურებულად შემართა.

უმცროსი ბორჯღალოსნების საქმამაგოდ გულშემატკივარი რუსთავის სტადიონზე მრავლად მივიდა და ბიჭებმაც მათ თავდადებული თამაშით გადაუხადეს მადლობა. ჩვენი გუნდის დომინაცია წამითაც არ დამდგარა ეჭვს ქვეშ. ზურაბ ამონაშვილის შეგირდები მეტოქეს ყველა კომპონენტში ჯაბნიდნენ და 5 ლელო გაიტანეს.

თამაში თავიდანვე საქართველოს შეტევებით დაიწყო. ფორვარდები ყველა ჯერზე ახერხებდნენ უპირატესობის ხაზის გადაკვეთას, მე-3 წუთზე მეტოქე დააჯარიმეს და ლუკა ცირეკიძემ 38 მეტრიდან ანგარიში გახსნა. მე-11 წუთზე პორტუგალიამ ჩვენი შეცდომით ისარგებლა, ლუკა ჭინჭარაულს ბოჭვისას ბურთი დაუვარდა, სტუმრებმა მას ფეხი მიჰკრეს და ლელო გარდასახვით დაწინაურდნენ. ამან მასპინძლები არ დააბნია, მე-15 წუთზე ჯარიმა უკვე აუტში გადავიტანეთ, 5-მეტრიანი დერეფნიდან მოლი ავაგორეთ და მიხეილ ხახუბიამ ლელო გაიტანა, ცირეკიძემ კი რთული პოზიციიდან გარდასახა.

23-ე წუთზე უმცროსმა ბორჯღალოსნებმა მეორე ლელო გაიტანეს. თითქმის კარის წინ დანიშნული შერკინებიდან ალექსანდრე ჯიღაურმა შეუტია, გრძელი პასით ლუკა ხორბალაძე მოძებნა და მანაც სისწრაფეში ლელო ალამთან გაიტანა. ტაიმის მიწურულს საქართველომ ლამაზი ხელდახელ შეტევა განახორციელა, ტატო ბურთიკაშვილმა ხაზი გაჭრა და ფინტებით დაახლოებით 20 მეტრი ირბინა. ამას ფორვარდების დარტყმები მოჰყვა, მერე გიორგი ხაინდრავა შევიდა კარის წინ, რაქიდან ბურთი ხაზზე სწრაფად გაიშალა და ცირეკიძემ ალამთან ლელო გაიტანა – 20:7.

მეორე ტაიმი საქართველოს შეტევებით დაიწყო, მაგრამ კარის წინ დავჯარიმდით და მეტოქემ 40 მეტრიდან ჩამორჩენა შეამცირა. ამას სტუმართა სახიფათო, სწრაფი შეტევა მოჰყვა და თითქოს ლელო გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ცირეკიძემ მეტოქე ალამთან აუტში გადაიყვანა.

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა კვლავ ხელთ იგდეს უპირატესობა და 49-ე წუთზე მეოთხე ლელო გაიტანეს. ამჯერადაც ჯიღაური-ხორბალაძის დუეტმა იმუშავა. შერკინების შემდეგ ჯიღაურმა მოკლე ფრთაზე შეუტია, მცველი აიყვანა და ბურთი კიდით ხაზთან ხორბალაძეს გადააწოდა, რომელიც მბოჭავთან კონტაქტში შევიდა და დუბლი შეასრულა. ცირეკიძემ რთული პოზიციიდან გარდასახა. შეხვედრის მიწურულს საქართველომ ფაზები აკინძა, ცენტრიდან 22-ში შევიდა, იქ ლადო ტყაბლაძემ სივრცე შენიშნა, რაქის გვერდით ხაზი გაჭრა და მეხუთე ლელო გაიტანა, ცირეკიძემ კი გარდასახვით საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 34:10.

ევროპის ჩემპიონ საქართველოს, მეორეადგილოსან პორტუგალიასა და მესამეადგილოსან ესპანეთს კუთვნილი მედლები საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ, აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე გოგებაშვილმა და გამგეობის თავმჯდომარე დავით კაჭარავამ გადასცეს. უმცროსი ბორჯღალოსნების კაპიტანმა გიორგი გერგედავამ თასი იოსებ ტყემალაძისგან ჩაიბარა.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იუოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო განცხადებები

ნანული (ნანა) გუნიას მოგონება

13 ოქტომბერს ტკივილიანი ერთი წელი დასრულდა. უშენობას ძალიან განვიცდით, გვენატრები.

შენი მთავარი მრწამსი იყო უფალი, დედა, სამშობლო. დიდია შენი ღვაწლი მეცნიერებაში, მწერლობაში, სხვადასხვა დარგში, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. ყველა დარგში დაფასებული იყავი. მიღებული გაქვს სხვადასხვა ჯილდო და წოდება. მინდა გამოვყო აბაშის რაიონის სოფელი მაცხოვრისკარი, სადაც დაიბადე და გაიზარდე, ააშენე ეკლესია მაცხოვრის შობის სახელობის, ხოლო სოფელს დაუბრუნე თავისი ისტორიული სახელი – მაცხოვრისკარი.

მადლიერმა აბაშელებმა დაგაფასეს და აბაშის საპატიო მოქალაქედ აგირჩიეს.

ნანა, არ მეგულება შვილი, დედას 100 ლექსი რომ მიუძღვნა. ეს შენ გააკეთე. შენ აღზარდე ორი ვაჟკაცი, რომელთა აღზრდაშიც დედაშენს დიდი წვლილი მიუძღვის. შენი სასახელო შვილებითა და შვილიშვილებით ხარობდი, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა ყველას წაგვართვა შენი თავი.

უფალი გფარავდეს, ნათელში იყოს ჩემი ნანას სული!

ლენა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ყაზბეგი დაუმარცხებელი და ლიდერია

დასაწყისი მე-6 გვერდზე

სტუმრებმა რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლეს. 59-ე წუთზე მათ მოლის შემდეგ ხაზზე გაიტანეს ბურთი და ზურა ძნელაძემ ლელო გაიტანა.

67-ე წუთზე გიორგი ფრუიძემ მცველი ცრუმოძრაობაზე დაიჭირა და მეოთხე ლელო გაიტანა, ხოლო ბოლო წუთზე არჩილ თურმანიძე ფეხით შეცურებულ ბურთს მიჰყვა და მისი ლელო რეზი ჯინჭველაშვილმა გარდასახა – 29:0.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე გიორგი თხილაიშვილი გახდა.

ლელო-ხახები 25:28

რუსთავის ხარებმა ლელო-სარასენსს დრამატულ მატჩში 28:25 სძლია და პირველი წაგება აგემა. დიდ დიღომში გამართულ შეხვედრაში თავდაპირველად უპირატესობას სტუმრები დაეუფლნენ, მეორე ნახევარში მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ ბოლოს კვლავ რუსთაველებმა იმძლავრეს.

დებიუტში პეტრე ხუციშვილმა და გიორგი პეტრიაშვილმა ჯარიმები გაცვალეს, შემდეგ უკვე სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ და ტაიმი 21:15 მოიგეს.

შესვენების შემდეგ თამაში ლელოს შეტევებით დაიწყო. დიმიტრი კიკნაძემ ლელო გაიტანა, ხუციშვილმა კი გარდასახვით მასპინძლები დააწინაურა. 47-ე წუთზე ხუციშვილმა ხელსაყრელი პოზიციიდან ჯარიმა გაიტანა და ლელო 25:21 დაწინაურდა.

ხარებმა ჯარიმები კარში არ დაარტყა და 70-ე წუთზე მაჭარაშვილმა მოლი ლელოთი დაასრულა. პეტრიაშვილმა რთული პოზიციიდან გარდასახა და რუსთაველთა უპირატესობა 3 ქულამდე გაზარდა. დარჩენილ დროში სტუმრებმა მასპინძლებს ხისტი დაცვა დაუპირისპირეს, ქულის აღების შანსი არ მისცეს და 28:25 გაიმარჯვეს.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე დავით ლაზვიაშვილი გახდა.

აკადემია-ყოჩები 10:15

ბოლნისის ყოჩებმა თბილისის აკადემიას 15:10 სძლია. ყოჩებმა მეტოქის შეცდომები უკეთ გამოიყენა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

პირველ ტაიმში ყოჩებმა ჯერ ჯარიმა გაიტანა, შემდეგ – ლელო და შესვენებაზე სოლიდური ჰანდიკაპით გავიდა – 10:0.

შესვენების შემდეგ აკადემიელებმა ჯარიმით სხვაობა შეამცირეს, მაგრამ საპასუხოდ ნიკა რეხვიაშვილმა ლელო გაიტანა – 3:15.

73-ე წუთზე მოედანზე ჩხუბი ატყდა და რეფერიმ გიორგი მაზმიშვილი და ირაკლი ლუარსაბიშვილი წითელი ბარათით გააძევა. დასკვნითმა წუთებმა „მხატვრების“ შეტევებით ჩაიარა და ერეკლე თათარაშვილმა ლელო გაიტანა, მარგიანმა გარდასახა და გუნდს გამარჯვების შანსი დაუტოვა, მაგრამ ყოჩებმა მეტოქის ბოლო იერიშის მოგერიება მოახერხა და 15:10 გაიმარჯვა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ყოჩების ფულბეკი ნიკა ბიწაძე გახდა.

სატუნირო ცხრილი:

1.ყაზბეგი	5	4	0	1	122-69	19
2.არესი	5	4	0	1	131-96	18
3.ყოჩები	5	4	0	1	117-80	17
4.ლელო	5	3	1	1	136-117	15
5.ბათუმი	5	3	0	2	133-91	14
6.ხარები	5	3	0	2	112-117	13
7.აია	5	2	1	2	108-111	12
8.ხვამლი	5	1	0	4	118-124	8
9.აკადემია	5	0	0	5	63-140	2
10.ლოკომოტივი	5	0	0	5	63-158	1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. უხასიათობა, ცუდი გუნება-განწყობა; 2. ხარისხის აღმნიშვნელი დამღა ოქროს, ვერცხლის ნაკეთობებზე; 3. სვანური ციხე-კოშკი; 4. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 7. უოლტ დისნეის სრულმეტრაჟიანი მულტფილმი; 9. მოცარული დარტყმა ბილიარდში; 12. ქალაქი საფრანგეთში, სადაც განთავსებულია ევროპარლამენტის შტაბბინა; 14. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 15. პირი სამეფო კარზე, რომელიც პირველი სინჯავდა მეფისთვის განკუთვნილ საჭმელს ძველად საქართველოში; 17. სამხაზველო ხელსაწყო; 20. ნიდერლანდური ყველი.

თარაზულად: 5. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 6. ფრანგი სოციოლოგი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 10. ოდესის ძველი სახელწოდება; 10. მავნებლური, ძირგამომთხრელი მოქმედება რაიმე საქმეში; 11. იაპონიის ერთ-ერთი კუნძული; 13. სამწახნაგოვანი პირის მქონე მოკლე იტალიური ხანჯალი; 16. ქუჩაში მოწყობილი სახანძრო ონკანი წყლის ასაღებად; 18. ქვებზე, ხეებზე მზარდი უფესვო, სპოროვანი მცენარე; 19. კუთხე საქართველოში; 21. თავისავე ქონში ჩახრაკული საქონლის გულ-ღვიძლისგან მომზადებული კერძი; 22. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 23. მეღვინეობის სპეციალისტი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ეფრემვერდი; 2. ინკები; 3. ჰურიები; 4. თრუსო; 5. პიტიუნტი; 6. მურეი; 7. ვანდომი; 9. სინხუა; 13. დიჯეი; 17. საკე; 18. სნო.

თარაზულად: 1. ეპარქია; 3. ჰერეთი; 8. ძირულა; 10; ჰემლისი; 11. ომანი; 12. სონღული; 14. სეგუნი; 15. კრიკინა; 16. ტესტი; 19. პრესტო; 20. ვიოლინო; 21. ეიფელი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მოწამეთა; 2. გაგრა; 3. ლაშარელა; 4. კიტონი; 7. ზლოტი; 9. ფრაჟე; 12. ონომასტიკა; 14. ჯულეპი; 15. აგევზია; 17. კასტელი; 20. კომლი.

თარაზულად: 5. სოლალაკი; 6. ათანელი; 8. ფერხული; 10. ესტაფეტა; 11. მთვარე; 13. სტალინო; 16. რედიკული; 18. კაკაო; 19. ფერმი; 21. პომპეი; 22. დიასტოლა; 23. პოპლიკა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7920

ევრო — 2.7105

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.0877

100 რუსული რუბლი — 4.3454

ამინდის პროგნოზი 12 ოქტომბრისათვის

იურგენ კლოპი: „მალე გულშემატკივარი ძველ ლივერპულს იხილავს“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს სჭირდება მობილიზაცია და ყველაფერი გამოსწორდება, რადგან ლივერპულს დიდი პოტენციალი აქვს: „ლივერპულმა სეზონი ცუდად დაიწყო და მესმის ჩვენი გულშემატკივრების, რომლებსაც მხოლოდ გამარჯვება აკმაყოფილებთ, მაგრამ მათ მოთმინება უნდა იქონიონ. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ისევ ძველი ლივერპული დაბრუნდეს“.

კვარაცხელიას იტალიაში ყველა აქებს

ხვიჩა კვარაცხელიაზე საუბარი იტალიაში არ წყდება და ქართველ ფეხბურთელზე თავისი აზრი უკვე ბევრმა სპეციალისტმა გამოთქვა. ყველა ერთხმად აღიარებს ხვიჩას ტალანტს და იტალიაში ამჟამად კვარაცხელია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფეხბურთელია. ყველაზე მეტად კვარაცხელიაზე ისევ ნაპოლის მთავარი მწვრთნელი ლუჩიანო სპალეტი საუბრობს, რომლის თქმით, ის ხვიჩაზე დიდ იმედებს ამყარებს და მომავალში აქცენტს სწორედ მასზე გააკეთებს.

ატლეტიკომ ანტუან გრიზმანი გამოისყიდა

მადრიდის ატლეტიკომ ანტუან გრიზმანი საბოლოოდ გამოისყიდა და ფრანგმა ფორვარდმა მადრიდულ გუნდთან 4-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. ამ კონტრაქტის მიხედვით, გრიზმანის გამოსასყიდი თანხა 100 მილიონი იქნება, ხოლო თვითონ გრიზმანი ხელფასის სახით წელიწადში 20 მილიონ ევროს მიიღებს. ანტუანმა განაცხადა, რომ ის ატლეტიკოში თავს კარგად გრძნობს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

საქართველოში მაღალი მოდის კვირეული ჩატარდება

12-14 ნოემბერს საქართველოში მაღალი მოდის კვირეული აიღებს სტარტს, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო პლატფორმას იმ მოდის დიზაინერებისთვის, რომლებიც, მიუხედავად ტექნოლოგიური განვითარებისა და ბაზარზე არსებულ სერიულ სამოსზე მოთხოვნისა, დღემდე ქმნის ხელით უნიკალურ სამოსს.

– საქართველოში „მაღალი მოდა“ ყოველთვის არსებობდა. ამის ნათელი მაგალითია ჩვენამდე მოღწეული უნიკალური ქსოვილების ნიმუშები და სამოსი, რომელიც სამუზეუმო ექსპონატებს წარმოადგენს.

ამიტომ გაგვიჩნდა ამბიცია, რომ ზუსტად საქართველო შეიძლება გახდეს აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის მაღალი მოდის ახალი კერა, სადაც უნიკალურ კოლექციებს წარმოადგენენ ბრენდები, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ მაღალი მოდის ხაზს.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც საქართველოს მაღალი მოდის კვირეულზე იქნება წარმოდგენილი, არის ეთნოს სტილი – ეროვნულ მოტივებზე შექმნილი მაღალი მოდა. ეს მიმართულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის, რადგან საქართველო უფრთხილდება საკუთარ ეროვნულ სამოსს და ამ მიმართულებაზე

მომუშავე დიზაინერები საზღვრებს გარეთ ახდენენ ქართული ნაციონალური სამოსის პოპულარიზაციას, – ნათქვამია ორგანიზატორების მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

12 ოქტომბრისათვის

ვერძი – რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საქმე მოთმინებით აკეთეთ. **კურო** – ჯანმრთელობას მიხედეთ. ერიდეთ კონფლიქტურ ადამიანებთან ურთიერთობას. **ტყუპები** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ და გამოასწორეთ. **კირჩხიბი** – მოულოდნელად ინტრიგებში გაიხლართებით. ყოველგვარ კამათსა და საქმის გარჩევას თავი აარიდეთ. მშვიდად იმუშავეთ. **ლომი** – პირობა აუცილებლად შეასრულეთ. დღეს გაამართლებს ახალი საქმის დაწყება. **ქალწული** – ახალი კონტაქტები სასიკეთო შედეგს გამოიღებს. თქვენი ფინანსები საკმაოდ გაიზრდება. **სასწორი** – იყავით მიმტევებელი, მომთმენი. ემოციებს ნუ აჰყვებით. თქვენი კეთილგანწყობა გარშემომყოფებზეც დადებითად იმოქმედებს. **ღრიანკალი** – ოჯახურ ურთიერთობებს გაუფრთხილდით. თქვენს საქმეში ჩარევის უფლებას ნურავის მისცემთ. **მშვილდოსანი** – დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. ზედმეტი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ ღირს. **თხის რქა** – იყავით ინდივიდუალური. სხვას ნუ მიბაძავთ. მარტოხელებს გელით რომანტიკული ნაცნობობა. **მერწყული** – უაზრო სიჯიუტე დაგაზარალებთ, თუმცა არც მთლად უპრინციპობა ვარგა. ზომიერება დაიცავით. **თევზები** – დღევანდელი დღე საოჯახო საქმეების მოწესრიგებას დაუთმეთ. გათავისუფლდით უსარგებლო ნივთებისაგან. ეს ადამიანურ ურთიერთობებსაც ეხება.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

პარკში მამაკაცი სკამზე გვერდით მჯდომ ქალს ეკითხება:

– ვინმე თქვენს ქუდზე რომ დამჯდარიყო, რომელიც თქვენ გვერდით სკამზე დადეთ, რას ეტყოდით?

– რომ უტვინო და თავხედია და რატომ მეკითხებით?

– ჩემს ქუდზე ზიხართ.

•••

მაღაზიაში გამყიდველი კლიენტს ეუბნება:

– თქვენზე 20 ლარია გადასახდელი.

– კი მაგრამ, მას ხომ 10 ლარი აწერია.

– დიახ 10 ლარი აწერია, მაგრამ სინამდვილეში 20 ლარი ღირს.

– კარგით, აი აიღეთ.

– მაპატიეთ, მაგრამ თქვენ მხოლოდ 10 ლარი მომეცით.

– დიახ 10 ლარი აწერია, მაგრამ სინამდვილეში 20-ლარიანია.

•••

ბავშვი სახლში თვალჩალურჯებული დაბრუნდა. დედა ეუბნება:

– ხომ დაგარიგე, რომ უფრო ჭკვიანურად უნდა მოიქცე და, სანამ ჩხუბში ჩაერევი, ასამდე უნდა დაითვალო.

– დედიკო, სანამ მე სულელი ასამდე ვითვლიდი, გიგიმ თვალში მუშტი ჩამცხო, მის მშობლებს მხოლოდ ორმოცდაათამდე დათვლა დაუბარებიათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გიორგი კეკელიძის „თომას ზღაპრები“ ინგლისურად გამოიცემა

მწერალ გიორგი კეკელიძის „თომას ზღაპრები“ უახლოეს მომავალში ინგლისურ ენაზე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში გამოვა.

„თომას ზღაპრები“ უცხოელ მკითხველში ძალიან პოპულარულია. გიორგი კეკელიძის ნაშრომი უკვე გამოსულია თურქეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ჩინეთში, იტალიაში.

– დიდი მადლობა მთარგმნელებს და, რაც მთავარია, პატარა მკითხველებს, – აცხადებს ავტორი.

ბესო სოლომანაშვილის „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ კინოთეატრებში გამოდის

რეჟისორ ბესო სოლომანაშვილის ფილმი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ საქართველოს კინოთეატრებში გამოდის.

მწერალ თამრი ფხაკაძის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით გადაღებულ ფილმს დიდი ინტერესით ელოდება მაყურებელი, რადგან ფილმმა უკვე არაერთი წარმატება მოიპოვა.

ფილმში მთავარ როლს დუტა სხირტლაძე ასრულებს.

ბესო სოლომანაშვილი, ფილმის რეჟისორი:

– როცა 2018-ში ამ ფილმის დაფინანსებისთვის განაცხადი შევიტანეთ კინოცენტრში, პროდიუსერის მოტივაციაში ჩავწერეთ, რომ ფილმი, პირველ რიგში, ქართველი ფართო მაყურებლისთვის გვინდოდა.

ჰოდა, 13 ოქტომბრიდან ეს ფილმი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ იწყებს ფართო მაყურებელში მოგზაურობას. ერთი ომით გადაღლილი ქართველი კაცის ამბავია.



13 ოქტომბერს ქართული პრემიერა იქნება „ამირანში“, 14 ოქტომბრიდან კი კავეას კინოთეატრებში წავა.

დათუნა მგელაძე ბიჭის მამა გახდა

მომღერალი დათუნა მგელაძე ბიჭის მამა გახდა. მისმა მეუღლემ ნინო ფუტკარაძემ „ჰერაში“ იმშობიარა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. ახალშობილს მშობლებმა ვატო დაარქვეს.

სასიხარულო ინფორმაცია მომღერალმა ნოდიკო ტატიშვილმა გაავრცელა:

– ისეთი ბედნიერი დღეა! ჩემს დათუნასა და ნინოს პირველი შვილი შეეძინათ! ნათლიას გულის ბიჭი დაიბადა! გული მიჩუყდება სიხარულისგან! გილოცავთ! ბედნიერი და ჯანმრთელი გაიზარდოს!

ნიკა ფაიქრიძე და თაკო ცქვიტინიძე დაქორწინდნენ

მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობები თაკო ცქვიტინიძე და ნიკა ფაიქრიძე დაქორწინდნენ. ნიკამ თაკოს ხელი პირდაპირ ეთერში სთხოვა და მისგან თანხმობაც მიიღო.

წყვილის ჯვრისწერასა და ქორწილს მათი ახლობლები და ოჯახის წევრები დაესწრნენ. ქორწილის ამსახველი ფოტოები სოციალურ ქსელში გავრცელდა. თაკომ და ნიკამ უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღეს.

თაკო ცქვიტინიძე:

– იმდენ ემოციას დავატარებ მთელი დღეა, არ შემიძლია, არ გამოვხატო და მადლობა არ გადავუხადო ადამიანებს, რომლებმაც ულამაზესი და დაუვიწყარი დღე მაჩუქეს. მადლობა ჩემს.... აი, აქ იმხელა ჩამონათვალი შეიძლება, ყველა სიტყვა ერთად მოვიდა, მაგრამ არ დაგღლით. ვცდილობ, ლაკონიური ვიყო. ნიკუშა ფაიქრიძე – მადლობა შენ იმისთვის, რომ არსებობ და განგებას, რომ შემახვედრა შენი თავი. მადლობა რომ ჩემი თავი სხვა კუთხით დამანახე, მოდუნების საშუალებას არ მაძლევ, ჩემი მამოძრავებელი და მამოტივირებელი ხარ. მადლობა ყველა დღისთვის, ყველა ღიმილისთვის, ყველა საჩუქრისთვის, ამხელა სიყვარულისთვის. უზომოდ მიყვარხარ.

მადლობა ყველას. პირველად ვიგრძენი ფრაზა: „ბედნიერების გაზიარება“ – დავინახე ეს უდიდესი დოზით, ყველას ღიმილი და სიტყვა მახსოვს. თურმე რამხელა მნიშვნელობა აქვს ყველაფერს. მაბედნიერებს თქვენი მოლოცვები და სითბო. მე თქვენ მიყვარხართ.

ჩრდილების თეატრი ლიეტუვაში მიიწვიეს

ხელის ჩრდილების თეატრი ბუდრუგანა გაგრა ლიეტუვაში მიიწვიეს. 14 ოქტომბერს მსახიობები ლიეტუვის დედაქალაქ ვილნიუსში გაემგზავრებიან, სადაც 16 ოქტომბერს წმინდა იოანეს ეკლესიაში სპექტაკლ „მათეს ვნებანს“ წარმოადგენენ.

სპექტაკლი ვიტაუტას ლანდსბერგისის, ლიტვის დამოუკიდებლობის შემდეგ პირველი სახელმწიფო მეთაურის, იუბილეს ეძღვნება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. გერმანიის შეიარაღებული ძალების სახელწოდება; 2. შტატი აშშ-ში; 3. ესპანელი ფერმწერი; 4. ფრანგი მწერალი, „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ავტორი; 5. სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი ბოლნისის რაიონში; 6. კლიმატური კურორტი ხონის რაიონში; 7. ევროპის ჩემპიონი ქართველი მოფარიკავე ქალი; 9. ბუღალტრული ბალანსის ნაწილი; 13. ქართული საესტრადო დუეტი; 17. იაპონური ბრინჯის არაყი; 18. ძველებური წონის ერთეული საქართველოში, უდრიდა 1200 გრამს.

თარაზულად: 1. ტაძარი ქუთაისში; 3. ხოხბისნაირთა ოჯახის ფრინველი; 8. მაფიის სახელწოდება იტალიაში; 10. კუნძულოვანი სახელმწიფო ინდოეთის ოკეანეში; 11. ხურდა ფული ბრიტანეთში; 12. კერძო მეწარმე სოფლად; 14. ქართული მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 15. ამერიკული სამხედრო– მოიერიშე ვერტმფრენი; 16. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი; 19. სისხლის ნებაყოფლობით გამღები; 20. ბუნებრივი ნაკრძალი გუდაუთის რაიონში; 21. კუთხე საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა